

# ენერგო-პროექტები და კორუფცია სამართველოში



ანგარიში მოამზადა მწვანე ალტერნატივამ ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით განხორციელებული კოალიციური პროექტის – „ელიტური კორუფციისა და ბიზნესზე სახელმწიფო ზეწოლის შემთხვევების გამოვლენა“ – ფარგლებში. კოალიციური პროექტის პარტნიორი ორგანიზაციებია: ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, მწვანე ალტერნატივა, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ან პარტნიორი ორგანიზაციების შეხედულებათა ამსახველად.

ავტორი: ქეთი გუჯარაიძე

© მწვანე ალტერნატივა, 2013

# სარჩევი

შესავალი.....	2
<b>1. კომპანია „ფერი“ პროფილი.....</b>	<b>3</b>
1.1 შპს „ფერი“ .....	3
1.2 კომპანიები, სადაც შპს „ფერი“ წილის მფლობელია.....	4
1.3 შპს „ფერისთან“ დაკავშირებული კომპანიები .....	7
1.4 შპს „ფერი“ და მმართველი პოლიტიკური პარტიის დაფინანსება.....	8
<b>2. კომპანია „ფერისთან“ დაკავშირებული ჰიდროენერგეტიკული პროექტები .....</b>	<b>9</b>
2.1 ყაზბეგი ჰესი მდინარე ბროლისწყალზე (ხდისწყალზე).....	9
2.1.1 პროექტის განხორციელების ვადები, ლიცენზიები და ნებართვები.....	11
2.1.2 გამომუშავებული ელექტროენერჯის შესყიდვა .....	11
2.1.3 საბანკო გარანტია ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად .....	12
2.1.4 საურავები ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის .....	15
2.1.5 საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის 107-ე დადგენილება და ხდისწყალზე დაგეგმილი ჰესი .....	15
2.1.6 კომპეტენტურ ორგანოთა უარი ნებართვის გაცემაზე და თანმდევი ცვლილებები საპრივატიზებო პირობებსა და ურთიერთგაგების მემორანდუმში.....	17
2.1.7 გზის უკანონო მშენებლობა ბროლისწყლის (ხდისწყლის) ხეობაში და სახელმწიფო ორგანოების უმოქმედობა .....	22
2.2 დარიალის ჰესის პროექტი მდინარე თერგზე.....	23
2.2.1 ჰესის სიმძლავრის გაზრდა 50-დან 109 მეგავატამდე და ამასთან დაკავშირებული საექვო გარემოებები.....	23
2.2.2 დარღვევები პროექტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.....	25
2.2.3 საქართველოს პარლამენტი - კანონდარღვევის მონაწილე .....	26
2.2.4 უკანონო მშენებლობა და სახელმწიფო ორგანოების უმოქმედობა (დარიალის და ლარსის ჰესები).....	27
2.2.5 სასამართლო პროცესი და ახალადმოჩენილი კანონდარღვევები .....	28
2.2.6 მიმართვა პროკურატურას.....	29
2.3 ხაღორი-2 ჰესის რეკონსტრუქცია-მშენებლობის პროექტი მდინარე ალაზანზე.....	30

## შესავალი

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ დეკლარირებული მიზანია ენერგო-დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად ქვეყანა მიისწრაფვის არსებული ენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალური ათვისებისკენ; ჰიდროენერგეტიკა ყურადღების ცენტრშია. საქართველოს 2012 წლის არჩევნების შემდეგ დანიშნული მთავრობა, ისევე როგორც მისი წინამორბედი, აწარმოებს ინტენსიურ კამპანიას ჰიდროენერგეტიკულ პროექტებში ინვესტიციების მოსაზიდად. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში ამჟამად 30-მდე ჰიდროელექტროსადგურის პროექტი მიმდინარეობს (ჰესების ნაწილის მშენებლობა უკვე დაწყებულია, ნაწილი კი, დაგეგმვის ეტაპზეა); დადებულია 20-ზე მეტი ურთიერთგაგების მემორანდუმი ან/და ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და ქართულ ან უცხოურ კომპანიებს (კონსორციუმებს) შორის მცირე, საშუალო და დიდი ჰესების მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის პროექტებზე.

კორუფცია ენერგეტიკის სექტორში შეიძლება სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა დონეზე გამოვლინდეს. ის შეიძლება მოიცავდეს როგორც „წვრილმან“ კორუფციას, მაგალითად, მოქალაქეების მიერ ელექტროენერჯის გადასახადის აღრიცხვა-გადახდისას, ისე მაღალი დონის კორუფციასაც, მაგალითად, ამა თუ იმ კომპანიისთვის განსაკუთრებული, გამორჩეული პირობების შექმნას რაიმე სარგებლის (მაგალითად, პოლიტიკური კამპანიის დაფინანსების, ან უბრალოდ კონკრეტული ადამიანების გამდიდრების) სანაცვლოდ. ამ „მაღალი დონის“ კორუფციის შესაძლებლობები განსაკუთრებით დიდია მაშინ, როდესაც კანონმდებლობა სუსტია, სახელმწიფო ორგანოებსა და კომპანიებს შორის ხელშეკრულებების დადების, ასევე კომპეტენტური ორგანოების მიერ ლიცენზირებისა და ნებართვების მინიჭების პროცესი დახურულია საზოგადოებისთვის, სუსტია კანონდასრულების კონტროლი და მონიტორინგი. სამწუხაროდ, საქართველო სწორედ ამ პირობებში იმყოფება.

წარმოდგენილ კვლევაში ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ის პირობები, რომლებიც ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიან საქართველოს ენერგო-სექტორში კორუფციის განვითარებისთვის. ამისათვის, ჩვენ ავირჩიეთ ერთი კომპანია და მასთან დაკავშირებული ენერგეტიკული პროექტები. ამ კომპანიის მაგალითზე ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ როგორ შეიძლება შეუწყოს ხელი კორუფციას ინსტიტუციურმა სისუსტემ და მიკერძოებულობამ, ასევე გამჭვირვალობის ნაკლებობამ.

ამგვარად, წარმოდგენილი კვლევის პირველ თავში, მკითხველი გაეცნობა კომპანია „ფერის“ და მასთან დაკავშირებულ კომპანიებსა და პირებს; მეორე თავში კი, განხილულია ის ჰიდროენერგეტიკული პროექტები და „განსაკუთრებული გარემო“, რომელშიც ვითარდებიან ეს პროექტები.

# 1. კომპანია „ფერის“ პროფილი

## 1.1 შპს „ფერი“<sup>1</sup>

კომპანია „ფერი“<sup>2</sup> შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც 1991 წელს დაფუძნდა. 1996 წლის აგვისტოში, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტისთვის, „ფერის“ 11 დამფუძნებელი ჰყავდა. ყველა დამფუძნებელი, ერთის გარდა, კომპანიაში მცირე წილს ფლობდა (1-5%); წილების დიდ ნაწილს - 64 %-ს - ფლობდა იოსებ მჭედლიძე; ისვე იყო კომპანიის დირექტორი. კომპანიის დამფუძნებელთა წილებში ცვლილება 1998 წლიდან დაიწყო: 1998-2007 წლებში კომპანიის ოთხმა მენილემ დათმო თავისი წილი იოსებ მჭედლიძეის სასარგებლოდ. 2012-2013 წლებში კი, იოსებ მჭედლიძელმა მიიღო კიდევ ხუთი დამფუძნებლის წილი. ამგვარად, დღეის მდგომარეობით, კომპანიის უდიდესი წილის მფლობელია **იოსებ მჭედლიძე** - 96%-ით და მცირე, 4%-იან წილს ფლობს **კახაბერ შევარდნაძე**. იოსებ მჭედლიძელს ამჟამად უკავია კომპანიის გენერალური დირექტორის თანამდებობა. კომპანიას ასევე ჰყავს დირექტორი (მთავარი მენეჯერი), ეს თანამდებობა 2005 წლიდან უკავია **მერაბ იორდანიშვილს**.

კომპანიის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად<sup>3</sup>: „კომპანიის საქმიანობა ძირითადად ფოკუსირებულია ენერგეტიკული პროექტების ფართო სპექტრის სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაზე (მათ შორის რთულ რელიეფურ პირობებში), რომლებიც მოიცავს გვირაბებს, მისასვლელ გზებს, ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს, საოფისე და საცხოვრებელ შენობებს და სხვ. ასევე, კომპანიას გააჩნია მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰიდროენერგეტიკული პროექტების სრული მოცულობით განხორციელების გამოცდილება პროექტირების, მშენებლობის, დაკომპლექტების, მონტაჟისა და ექსპლუატაციის ჩათვლით.“.

1996 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 1000 აშშ დოლარს, 2004 წელს ის გაიზარდა 400 ათას ლარამდე და 2005 წელს კი, შემცირდა 2 ათას ლარამდე. მენარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის თანახმად (კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 211352187), 2013 წლის 29 ოქტომბრის მდგომარეობით, კომპანია TBC ბანკის მოვალეა: მას დაგირავებული აქვს გვირაბგამყვანი ტექნიკა, კომპანიის 30%-იანი წილი შპს „ენერგიაში“ (დაგირავებულია ასევე შპს „ენერჯის“ მეორე მფლობელის, მევლუდ ბლიაძის 70%-იანი წილი), ასევე შპს „ენერჯის“ არსებული და სამომავლო არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (იხ. მომდევნო ქვეთავი - შპს „ენერჯია“). „ფერის“ TBC ბანკთან აქვს ასევე დადებული სალიზინგო ხელშეკრულებები (2011, 2012) მოძრავ ქონებაზე.

2012 წლის მაისში, ბიზნესდაჯილდოებაში „მერკური-2012“ კომპანია „ფერი“ ერთ-ერთ ნომინაციაში გაიმარჯვა - ის წლის საუკეთესო ბიზნესად იქნა აღიარებული; კომპანიას ჯილდო თავად საქართველოს პრეზიდენტმა გადასცა<sup>4</sup>.

კომპანიის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, „2007 წლის დასაწყისში კომპანიაში დაიწყო ხარისხის მენეჯმენტის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2000 დანერგვა, რაც 2007 წლის სექტემბრის თვეში დასრულდა შ.პ.ს. „ფერი“-ს სერთიფიცირებით და კომპანიას მიეცა ISO 9001:2000 ხარისხის საერთაშორისო სერთიფიკატი“. „კომპანია თავის საქმიანობაში მნიშვნელოვან პრიორიტეტს ანიჭებს უახლესი ტექნოლოგიების ათვისებასა და პრაქტიკაში დანერგვას. პროექტების განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებს“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> საიდენტიფიკაციო კოდი მენარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში: 211352187

<sup>2</sup> კომპანიის ვებ-გვერდი: <http://peri.ge/>

<sup>3</sup> იხ. <http://www.peri.ge/index1.php?menuid=2&lang=1>

<sup>4</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, „მერკური“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და საქართველოს საჯარო-სამრეწველო პალატის ერთობლივი ინიციატივაა. სამინისტროს თანახმად, „ბიზნესდაჯილდოების დაარსების მიზანია ქართული ბიზნესის წარმოჩენა, წახალისება და პოპულარიზაცია. იგი მონაწილეობს, ხელი შეუწყოს უკვე მიღწეული წარმატების მაგალითზე ადგილობრივი საქმიანი წრეების ახალ ინიციატივებს, ინოვაციურ გადაწყვეტილებებს, მათი საქმიანობის არეალის გაფართოებასა და განვითარებას. ამასთან, ბიზნესდაჯილდოების მიზანია, გამოავლინოს და საზოგადოებას გააცნოს მცირე და საშუალო ბიზნესის ახალი წარმომადგენლები, რომლებიც ბაზარზე ადვილს ახლა იმკვიდრებენ.“. პირველი ბიზნეს-დაჯილდოება „მერკური“ 2011 წელს გაიმართა. <http://www.economy.ge/ge/media/news/quotmerkuri-2012quot-erovnuli-biznesdajildoeba-ukve-meored-tardeba>

<sup>5</sup> საინტერესოა, რომ წლის საუკეთესო ბიზნესად აღიარებიდან ერთი თვის შემდეგ, 2012 წლის ივნისში, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უბედური შემთხვევა მოხდა განმუხურში, სადაც სამშენებლო სამუშაოებს კომპანია „ფერი“ აწარმოებდა. ანაკლია-განმუხურის ცენტრალური წყალგაყვანილობის მონტაჟის დროს ჩამოშლილმა მიწამ მუშა იმსხვერპლა. წყაროს ცნობით, მომხდარ ფაქტს მუშები დაქარბულ სამუშაოებს უკავშირებენ (ტვ 9, „უბედური შემთხვევა“, 28.06.12: [http://www.youtube.com/watch?v=BBg\\_xsleLks](http://www.youtube.com/watch?v=BBg_xsleLks)). შემთხვევის გამოძიების შედეგები ჩვენთვის ცნობილი არ არის.

## 1.2 კომპანიები, სადაც შპს „ფერი“ წილის მფლობელია

### • შპს „ენერჯია“<sup>6</sup>

კომპანია 2010 წლის სექტემბერში დაფუძნდა. კომპანიაში შპს „ფერის“ (დირექტორი მერაბ იორდანიშვილი) წილი 30%-ს შეადგენს; დანარჩენ, 70%-ს კი, მეკლუდ ბლიაძე ფლობს. კომპანიის დირექტორია გაიომ უგრელიძე. კომპანია რეგისტრირებულია (იურიდიული მისამართი) შპს „პერის“ (მფლობელი და დირექტორი ლაშა იორდანიშვილი) კუთვნილ ფართზე.

დაფუძნებისას, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 2 ათას ლარს. როგორც გემოთ აღინიშნა, კომპანიას TBC ბანკში დაგირავებული აქვს ორივე მფლობელის წილები (შპს „ფერის“ 30% და მეკლუდ ბლიაძის 70%), ასევე, შპს „ენერჯიის“ არსებული და სამომავლო არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ვებ-გვერდზე განთავსებული გირავნობის ხელშეკრულებიდან<sup>7</sup> ირკვევა რომ, ბანკში 30 მილიონ აშშ დოლარად დაგირავებულია შპს „ენერჯიის“ მიერ „მომავალში შეძენელი და/ან მისთვის მომავალში გადაცემული „ლარსის ჰიდროელექტროსადგურის“ ყველა და ნებისმიერ დანადგარი, მათ შორის, სადერივაციო-სადაწნეო მილსადენი და აგრეგატები; ყველა და ნებისმიერი სამომავლოდ შესაძენი მოძრავი ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე; ნებისმიერი მოძრავი ქონება ან/და მატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელზეც საკუთრების უფლება დამგირავებელს წარმოეშობა ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ, მათ შორის, საკუთრებაში გადაცემული 19 მგვტ. „ლარსის ჰიდროელექტროსადგურის“ ყველა და ნებისმიერი დანადგარი, აგრეთვე, სადერივაციო-სადაწნეო მილსადენი და აგრეგატები“.

რეესტრიდან ასევე ირკვევა, რომ კომპანიას 2011 წელს სს ბანკი „რესპუბლიკასთან“ დადებული აქვს საკრედიტო ვალდებულების დეპოზიტით უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანია დეპოზიტზე არსებული თანხიდან დამგირავებლის მოთხოვნის უფლება 1 200 000 აშშ დოლარის ოდენობით.

შპს „ენერჯია“ ამჟამად ყაზბეგის რაიონში, დარიალის ხეობაში, აშენებს **19 მგვტ სიმძლავრის ლარსის ჰიდროელექტროსადგურს**. პროექტი ხორციელდება საქართველოს მთავრობას, შპს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა (ესკო) და შპს „ენერჯიას“ შორის 2011 წლის 17 მაისს ლარსის ჰესის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე.

2012 წლის ივლისში შპს „ენერჯიამ“ კიდევ ერთი ჰესის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ დადო საქართველოს მთავრობასთან ურთიერთგაგების მემორანდუმი. ეს არის **5 მგვტ სიმძლავრის შილდას ჰესი** ყვარლის მუნიციპალიტეტში, მდინარე ჩელთიზე<sup>8</sup>. როგორც პროექტის დოკუმენტაციიდან ირკვევა, პროექტს თავდაპირველად ახორციელებდა სს „GGEDC“-ი<sup>9</sup> - შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ დაფუძნებული კომპანია (კორპორაციის 100%-იანი მფლობელობით), უშუალოდ ჰესის პროექტირებას და მშენებლობას კი, აწარმოებდა შპს „ფერი“<sup>10</sup>. მემორანდუმის საფუძველზე, 2012 წ ივლისში სს „GGEDC“-ის მიერ დაწყებული პროექტის განხორციელება შპს „ენერჯიამ“ გააგრძელა. 2012 წლის სექტემბერში, პროექტის საჭიროებისთვის, შპს „ენერჯიას“, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საკუთრებაში გადაეცა გარკვეული მიწის ნაკვეთები, საგურამო-წითელი ხიდის 972 მეტრი სიგრძის მაგისტრალური გაზსადენი, ასევე, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, 99 წლის ვადით - მდინარე ჩელთის კალაპოტის მიწები. 2012 წლის სექტემბერშივე შილდას ჰესი ექსპლუატაციაში შევიდა<sup>11</sup>.

<sup>6</sup> საიდენტიფიკაციო კოდი მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში: 401950037

<sup>7</sup> გირავნობის ხელშეკრულება #12312353214; #12312353436; 12312353330. მოგირავნე „თიბისი ბანკი“, დამგირავებელი შპს ენერჯია, შპს ფერი, მეკლუდ ბლიაძე; 2012 წლის 19 ივლისი

<sup>8</sup> საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „GGEDC“-ს და შპს „ენერჯიას“ შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი. სავარაუდო ინვესტიციის მოცულობა 5 500 000 აშშ დოლარი.

<sup>9</sup> „GGEDC“-ი, იგივე Georgian Green Energy Development Company, საქართველოს მწვანე ენერჯიის განვითარების კომპანია. კომპანია 2012 წლის სექტემბერში განიცადა რეორგანიზაცია; ის შეერწყა (მიუერთდა) სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ (2010 წელს - დირექტორი არჩილ მამათელაშვილი, 2013 წელს - დირექტორი გიორგი ბეჟუაშვილი).

<sup>10</sup> იხ. <http://www.gogc.ge/ge/page/mdinare-celtze-hidroeleqtrosadguris-proeqtireba-mseneblobas-sps-quotferiquot-ganaxorcieles>

<sup>11</sup> ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ და კომპანია „ფერის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ლაშა იორდანიშვილმა „შილდა ჰესი“ გახსნეს. იხ.: [http://energyplatform.ge/show\\_news.php?id\\_news=47](http://energyplatform.ge/show_news.php?id_news=47)

• **სს „დარიალი ენერჯი“<sup>12</sup>**

შპს „დარიალი ენერჯი“ დაფუძნდა 2010 წლის დეკემბერში. მას ორი დამფუძნებელი პარტნიორი ჰყავდა: აშშ-ში რეგისტრირებული „რობინს კომპანია“ (the Robbins Company)<sup>13</sup> – 30%-იანი წილით და შპს „ფერი“ – 70%-იანი წილით. შპს „დარიალი ენერჯი“, ისევე როგორც შპს „ენერჯია“ რეგისტრირებულ იქნა (იურიდიული მისამართი) შპს „პერის“ (მფლობელი და დირექტორი ლაშა იორდანიშვილი) კუთვნილ ფართზე. **ლაშა იორდანიშვილი** დაინიშნა კომპანიის დირექტორად.

კომპანიის საქმიანობის მიმართულებად განისაზღვრა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, მდინარე თერგზე დარიალის ჰესის მშენებლობა, განვითარება და ფუნქციონირება. **დარიალის ჰესის** პროექტის განვითარებისთვის 2011 წლის 19 მაისს საქართველოს მთავრობას, შპს „დარიალი ენერჯის“, შპს „ენერგოტრანსსა“ და შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დაიდო ხელშეკრულება 109 მგვტ სიმძლავრის დარიალის ჰესის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ<sup>14</sup>.

2011 წლის სექტემბერში კომპანიამ გადაწყვიტა რეორგანიზაცია სააქციო საზოგადოებად. ამ დროისთვის კომპანიის კაპიტალი შეადგენდა 100 ათას აშშ დოლარს, რომელიც 33 333 333 აშშ დოლარამდე გაიზარდა. აქციების 70%-ის მესაკუთრე კვლავ შპს „ფერი“ იყო, 30%-ის კი „რობინს კომპანია“. 2011 წლის სექტემბერშივე კომპანიის წილები ხელახლა გადანაწილდა - კომპანიას გაუჩნდა ახალი აქციონერი სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“ (JSC Georgian Energy Development Fund, GEDF) სახით, რომელმაც 10 მლნ აშშ დოლარად იყიდა კომპანიის სააქციო კაპიტალის 30%-ი. ამ ცვლილების შედეგად, შპს „ფერის“ წილი სააქციო კაპიტალში 40%-მდე შემცირდა, ხოლო „რობინს კომპანიის“ იგივე დარჩა - 30%-ი. 2011 წლის ოქტომბერში კომპანიამ შეცვალა დირექტორიც; ამ დროიდან დღემდე ლაშა იორდანიშვილის ნაცვლად კომპანიის დირექტორია **ზურაბ ალავიძე**<sup>15</sup>.

კომპანია, როგორც ზემოთ აღინიშნა, ახორციელებს დარიალის ჰესის მშენებლობის პროექტს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში. 2013 წლის აგვისტოში სს „დარიალი ენერჯიმ“ განაცხადა, რომ ფინანსური პრობლემების გამო, საფრთხის ქვეშ დგება პროექტის განვითარება და პროექტის დასრულებამ, შესაძლოა, გაურკვეველი ვადით გადაინიოს. 2013 წლის 14 აგვისტოს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძისათვის მიწერილ წერილში<sup>16</sup> კომპანია არსებული ვითარებიდან ერთადერთ გამოსავლად მინისტრს შემდეგს სთავაზობს:

„პროექტის დასრულებისათვის აუცილებელია საბანკო დაფინანსება, რასთან დაკავშირებითაც კომპანია დიდი ხნის მანძილზე აწარმოებს სამუშაოებს ქართულ და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან. სესხის დამტკიცების წინაპირობად ბანკები ითხოვენ, რომ კომპანიამ მოიზიდოს დამატებითი კაპიტალი 20 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. სს „დარიალი ენერჯიმ“ მოიძია შესაბამისი რესურსი - შპს „ენერჯია“ მზად არის განახორციელოს შენატანი კომპანიის კაპიტალში 10 მილიონი აშშ დოლარის სახით და გამოუყოს კომპანიას აქციონერთა სესხის სახით დამატებითი 10 მილიონი აშშ დოლარი, რომლის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება წლიური 10%-ით. სანაცვლოდ შპს „ენერჯია“ ითხოვს, რომ კომპანიას ჰქონდეს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“-ს (შემდგომში GEDF) საკუთრებაში არსებული აქციების ყიდვის ოფცია ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვების შემდგომ 15 მილიონ აშშ დოლარად. სხვა გზა სს „დარიალი ენერჯის“ მიერ დამატებითი 20 მილიონი აშშ დოლარის მოპოვებისა ამ ეტაპზე არ არსებობს“.

წერილით, სს „დარიალი ენერჯი“ ითხოვს თანხმობას, რომ GEDF-მა მოაწეროს ხელი დოკუმენტს, რომელიც ითვალისწინებს სს „დარიალი ენერჯის“ კაპიტალის გაზრდას და სესხის აღებას<sup>17</sup>. 2013 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ დააკმაყოფილა კომპანიის ზემოთ აღწერილი მოთხოვნა - გამოიცა მთავრობის განკარგულება, რომლითაც მოწონებულ იქნა აქციების განთავსებისა და აქციონერთა ხელშეკრულების პროექტი<sup>18</sup>.

<sup>12</sup> საიდენტიფიკაციო კოდი შენარჩუნდა და არასამენარჩუნო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში: 401953061

<sup>13</sup> იხ. კომპანიის ვებ-გვერდი: <http://www.therobbinscompany.com/>

<sup>14</sup> ხელშეკრულებაში, 2013 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, სამჯერაა შესული ცვლილება: პირველად - 2011 წლის 18 ნოემბერს, მეორედ - 2012 წლის 13 თებერვალს და მესამედ - 2012 წლის 24 აგვისტოს. მეორე ცვლილებით, ჰესის წარმადობა 1 მეტავატით შემცირდა (გახდა 108 მგვტ სიმძლავრის).

<sup>15</sup> 2005 წლიდან ზურაბ ალავიძეს ეკავა VTB ბანკის (გაერთიანებული ქართული ბანკი) გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობა; 2009-2010 წლებში კი, მას ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის პოსტი ეკავა.

<sup>16</sup> „დარიალი ენერჯის“ 2013 წლის 14 აგვისტოს #5374 წერილი საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს კახა კალაძეს.

<sup>17</sup> წერილს თან ერთვის წერილები ერთ-ერთი ავსტრიული ბანკიდან და ასევე, საქართველოს ბანკიდან სასესხო პირობებზე. საქართველოს ბანკი თავის წერილში აღნიშნავს, რომ 61 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხის გამოყოფის ერთ-ერთ წინაპირობად, ბანკი ითხოვს სანესდებო კაპიტალის 20 მილიონი აშშ დოლარით გაზრდას.

<sup>18</sup> საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 ოქტომბრის #1415 განკარგულება „შპს „ფერის“, „რობინს კომპანიის“, სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“, შპს „ენერჯიასა“ და სს „დარიალი ენერჯის“ შორის დასადები ხელშეკრულების შესახებ“.

• **შპს „აღმოსავლეთის ენერჯოკორპორაცია“<sup>19</sup>**

შპს „აღმოსავლეთის ენერჯოკორპორაცია“ 1999 წელს დაფუძნდა სამი პარტნიორის მონაწილეობით: სიჩუანის ელექტროენერჯეტიკული იმპორტისა და ექსპორტის კორპორაცია - 54%-ი, კორპორაცია „ჰაინან ს.ი.ტ. ენტერპრაიზი“ - 39%-ი და შპს „ფერი“ - 7%-ი. კომპანიის საქმიანობებს შორის, კომპანიის მთავარ მიმართულებად განისაზღვრა **ხადორის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის** მომზადება და განხორციელება. „ჰაინან ს.ი.ტ. ენტერპრაიზი“ კორპორაციამ დროთა განმავლობაში დათმო თავისი წილი კომპანიაში და საბოლოოდ, 2004 წლიდან დღემდე წილები ასეა გადანაწილებული: 93%-ი ეკუთვნის სიჩუანის ელექტროენერჯეტიკული იმპორტისა და ექსპორტის კორპორაციას (ჩინეთი) და 7%-ი შპს „ფერის“.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი დაფუძნებისას შეადგენდა 54 980 აშშ დოლარს, 2004 წელს კი 5.5 მლნ დოლარს გადააჭარბა. ჩინურმა კომპანიამ საწესდებო კაპიტალის გაზრდისთვის ფულადი შენატანი გააკეთა, შპს „ფერმა“ კი, კომპანიას ხადორის ჰესთან ახლომდებარე მინი ჰესი II გადასცა. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, კომპანიის მენილეები აშუამად თბილისის საქალაქო სასამართლოში დავაში იმყოფებიან. დავის გამო, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სიჩუანის ელექტროენერჯეტიკული იმპორტისა და ექსპორტის კორპორაციის წილი (93%-ს) დაყადაღებულია. 2013 წლია 1 ოქტომბერს დავაში მყოფი მხარეები შეთანხმდნენ, რომ შპს „ფერი“ უარს იტყვის სარჩელზე და მოითხოვს ყადაღის გაუქმებას; ჩინური მხარე კი, 2013 წლის 31 დეკემბრამდე შეიძენს შპს „ფერის“ 7%-იან წილს კომპანიაში 1 900 000 აშშ დოლარად. ამ პირობების შესრულების შემდეგ, ჩინური კომპანია იძლევა გარანტიას, რომ 10 წლის განმავლობაში კომპანია შპს „ფერის“ მისცემს ხადორი-2 ჰესზე გამომუშავებული ელექტროენერჯის გადაცემის საშუალებას მის კუთვნილებაში მყოფი ელექტროგადამცემი ხაზით, წლიური შეღავათიანი ტარიფით 50 ათასი აშშ დოლარი.

• **შპს „ყაზბეგი ჰესი“<sup>20</sup>**

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შპს „ყაზბეგი ჰესი“, პირდაპირი მიყიდვის წესით, შპს „ფერიმ“ 2011 წლის აგვისტოში 200 ათას ლარად შეიძინა<sup>21</sup>. შპს „ყაზბეგი ჰესი“, პრივატიზაციის მომენტისთვის, ფლობდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, მდინარე ბროლისწყალზე (ხდისწყალზე) განთავსებულ მცირე, 0.38 მგვტ სიმძლავრის ჰესს - ყაზბეგი ჰესს. კომპანიის ყიდვიდან მოკლე ხანში, 2012 წლის აპრილში, შპს „ფერიმ“ მთლიანად გაასხვისა 100-პროცენტისი წილი ფიზიკურ პირებზე - **ლაშა იორდანიშვილსა** (66.67%) და **ლელა იოსელიანზე** (33.33%). საინტერესოა, რომ წილის ნასყიდობის ხელშეკრულებით, ლელა იოსელიანის 33.33%-იანი წილის საფასურის გადახდა დაევალა არა თავად ხელშეკრულებით განსაზღვრულ მიყიდველს - ლელა იოსელიანს, არამედ **იოსებ მჭედლიშვილს** - შპს „ფერის“ თანამფლობელს (იხ. ზემოთ)<sup>22</sup> და ეს უკანასკნელი დათანხმდა ამ ვალდებულების შესრულებას. კომპანიამ ამ დრომდე სამჯერ შეიცვალა დირექტორი: პრივატიზაციიდან 2012 წლის 24 აგვისტომდე კომპანიის დირექტორი იყო **გიორგი ფიცხელაური**, შემდგომ ის ჩაანაცვლა **ირაკლი შენგელიამ**; ეს უკანასკნელი კი 2013 წლის ივნისში ჩაანაცვლა **გიორგი გოგუამ**.

კომპანიის პრივატიზაციის მთავარ პირობად განისაზღვრა შპს „ყაზბეგი ჰესის“ საკუთრებაში არსებული ჰესის სიმძლავრის გაზრდა 2.5 მგვტ-მდე, თუმცა მოგვიანებით ეს პირობა შეიცვალა და კომპანიას დაევალა ახალი, არანაკლებ 5 მგვტ სიმძლავრის ყაზბეგის ჰესის მშენებლობა იმავე მდინარეზე.

2013 წლის 21 ოქტომბრის მდგომარეობით, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის თანახმად, კომპანიის ორივე მფლობელის წილებზე გავრცელებულია საგადასახადო გირავნობა (მთელ ქონებაზე, გარდა გარკვეული უძრავი ნივთებისა).

<sup>19</sup> საიდენტიფიკაციო კოდი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში: 211390387

<sup>20</sup> საიდენტიფიკაციო კოდი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში: 241495422

<sup>21</sup> საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 აგვისტოს #15/08/07 განკარგულებისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტთან 2011 წლის 16 აგვისტოს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე.

<sup>22</sup> იხ. 2012 წლის 11 აპრილის წილის ნასყიდობის ხელშეკრულება შპს „ფერის“ (ნარმოდგენილს მისი დირექტორის მერაბ იორდანიშვილის მიერ), ლელა იოსელიანსა და ლაშა იორდანიშვილს შორის.



### 1.3 შპს „ფერისთან“ დაკავშირებული კომპანიები

- **Landsvirkjun Power**

Landsvirkjun Power ისლანდიური სახელმწიფო კომპანია<sup>23</sup>, რომელიც საქართველოში, სავარაუდოდ, 2010 წლიდან მუშაობს. კომპანიის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად<sup>24</sup>, სწორედ 2010 წელს Landsvirkjun Power-მა, ისლანდიურ საკონსულტაციო კომპანია Verkis-თან და ქართველ პარტნიორებთან ერთად, გაიმარჯვა UNDP/Global Energy Fund-ის პროექტში (Georgia - Promoting the Use of Renewable Energy Resources for Local Energy Supply) გამოცხადებულ ტენდერში. 1 მილიონი დოლარის ღირებულების კონტრაქტი ითვალისწინებდა საქართველოში სამი მცირე ჰესის (2.0-6,5 მგვტ) რეაბილიტაციას და წინასაპროექტო კვლევების ჩატარებას სხვა ოთხი მცირე ჰესის პროექტისთვის. 2011 წლის ნოემბერში კომპანიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად<sup>25</sup>, სარეაბილიტაციო სამი ჰესიდან ერთ-ერთი **ხაღორი-2 ჰესი** იყო (იხ. 2.3 ქვეთავი). სავარაუდოდ, შპს „ფერის“ და კომპანია Landsvirkjun Power-ს შორის თანამშრომლობა პირველად სწორედ ამ პროექტის ფარგლებში შედგა.

Landsvirkjun Power-სა და შპს „ფერის“ შორის თანამშრომლობა სხვა პროექტების ფარგლებშიც გაგრძელდა. კვლავ კომპანიის ვებ-გვერდზე განთავსებული (2011 წლის 20 ივლისით დათარიღებული) ინფორმაციის თანახმად<sup>26</sup>, კომპანიამ, კვლავ საკონსულტაციო კომპანია Verkis-თან ერთად შპს „**დარიალი ენერჯისთან**“ დადო ხელშეკრულება 109 მგვტ სიმძლავრის **დარილის ჰესის** პროექტისთვის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის, სატენდერო დოკუმენტების და საინჟინრო გადაწყვეტის მოსამზადებლად. კომპანია იქვე აღნიშნავს, რომ Landsvirkjun Power-მა თავის მხრივ დადო ქვე-კონტრაქტები ქართულ კომპანიებთან: **შპს „ფერისთან“**, გეოლოგიური კვლევებისთვის - შპს „**გეოინჟინირინგთან**“ (Geoengineering) და ტოპოგრაფიული და გეოდეზიური კვლევებისთვის - **შპს „გეოგრაფიკთან**“ (Geographic).

ზემოთ ჩამოთვლილ ქართულ კომპანიებთან ისლანდიური კომპანიების თანამშრომლობა გაგრძელდა კიდევ ერთი პროექტის ფარგლებში; ესაა **20 და 25 მგვტ სიმძლავრის ჰესების მშენებლობის პროექტი მდინარე მაჭახელაზე**. Landsvirkjun Power-ის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად<sup>27</sup>, Landsvirkjun Power-მა და Verkis-მა დადეს ხელშეკრულება შპს „**მაჭახელა ჰესი 1**“-თან სხვადასხვა სახის საკონსულტაციო მომსახურებაზე (სატენდერო დოკუმენტების მომზადება, წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და სხვ.). ისევე როგორც დარილის ჰესის პროექტის შემთხვევაში, კომპანია იქვე აღნიშნავს, რომ ამ პროექტისთვისაც, Landsvirkjun Power-მა თავის მხრივ გააფორმა ქვე-კონტრაქტები **შპს „ფერისთან“**, „**გეოინჟინირინგთან**“ და **შპს „გეოგრაფიკთან**“.

- **სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“**

სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“ საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც სხვადასხვა სახის სერვისებს უზრუნველყოფს, მათ შორის, ერთ-ერთია სხვადასხვა ტიპის პროექტებისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების კვლევების ჩატარება. „გამა კონსალტინგი“, როგორც მას ხშირად მოიხსენიებენ, **სს „დარიალი ენერჯის“ დარილის ჰესის** პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ავტორია. „გამა კონსალტინგმა“ ასევე მოამზადა მდ. ბროლისწყალზე (ხდისწყალზე) **შპს „ყაზბეგი ჰესის“** მიერ დაგეგმილი **ყაზბეგი ჰესის** პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გადამუშავებული ვერსია (მას შემდეგ რაც კომპანიის მიერ გარემოს დაცვის სამინისტროში პირველად წარდგენილი გზმ ანგარიში დაუნუხვებულ იქნა). მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „გამა კონსალტინგსა“ და **შპს „ფერის“** შორის თანამშრომლობა შედგა **ფოთის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტის** ფარგლებში<sup>28</sup>.

- **„თბილწყალგეო“**

„თბილწყალგეო“, 2000 წლის 20 ივლისის მდგომარეობით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენდა<sup>29</sup>. ორგანიზაციის ამჟამინდელი იურიდიული სტატუსი ნათელი არ არის. „თბილწყალგეომ“ **შპს „ენერჯის“** დაკვეთით ჩაატარა გარემოზე ზემოქმედების შეფასება **ლარსის ჰესის** პროექტისთვის; ასევე, ამავე ორგანიზაციამ მოამზადა მდ. ბროლისწყალზე (ხდისწყალზე) **შპს „ყაზბეგი ჰესის“** მიერ დაგეგმილი

<sup>23</sup> იხ. კომპანიის ვებ-გვერდი: <http://www.landsvirkjun.com/company>

<sup>24</sup> იხ. <http://www.lvpower.com/News/Article/landsvirkjunpowersignsacontractwithundpingeorgia/>

<sup>25</sup> UNDP Georgia extends contract with Landsvirkjun Power, 8.11.2011, <http://www.lvpower.is/about/news/nr/163>

<sup>26</sup> Landsvirkjun Power and Verkis sign a contract on design of a 109 MW hydropower project in the Republic of Georgia, 20 July 2011, <http://www.landsvirkjun.com/company/mediacentre/news/news-read/1442->

<sup>27</sup> Landsvirkjun Power and Verkis sign an engineering consultancy agreement with Machakhela HPP 1 LLC, 17 August 2012, <http://www.landsvirkjun.com/company/mediacentre/news/news-read/1632->

<sup>28</sup> „ახალი გაზეთი“, შპს მცხვარშივილი, 08.09.2009, „27 მილიონი ამღვრეულ წყალში“, [http://regions.ge/8&newsid=1873&year=2009&position=news\\_main](http://regions.ge/8&newsid=1873&year=2009&position=news_main)

<sup>29</sup> საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2000 წლის 20 ივლისის №43 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „თბილწყალგეოს“ შესახებ“ [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=51244#](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=51244#)

**ყაზბეგი ჰესის** პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პირველადი ვერსია (ვერსია, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტრომ დაინუნა - არ გასცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა).

• **შპს „ენერგო-არაგვი“**

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილი ჰესების უმრავლესობას შპს ფერის და მასთან წილებით დაკავშირებული კომპანიები ახორციელებენ. ერთადერთი გამონაკლისია 8 მგვტ სიმძლავრის არაგვი ჰესის პროექტი მდინარე თეთრ არაგვზე, რომელსაც **შპს „ენერგო-არაგვი“** ახორციელებს. თუმცა, ამ პროექტშიც, მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, **შპს „ფერია“** ჩართული. ამ შემთხვევაში ის შპს „ენერგო-არაგვის“ დაკვეთით სამშენებლო სამუშაოებს ასრულებს<sup>30</sup>.

#### **1.4 შპს „ფერი“ და მმართველი პოლიტიკური პარტიის დაფინანსება**

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას, საქართველოს კანონმდებლობა არ კრძალავდა კომპანიების მიერ პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ შემოწირულობების გაკეთებას. საგულისხმოა, რომ ამ არჩევნებისას ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემომწირველ კომპანიებს შორის იყო **შპს „ფერიც“**. კომპანიამ, 2010 წლის 19 თებერვალს მმართველ პოლიტიკურ პარტიას შესწირა 50 ათასი ლარი<sup>31</sup>.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოს კანონმდებლობით პოლიტიკურ პარტიებს უკვე აკრძალული ჰქონდათ შემოწირულობების მიღება კომპანიებისგან. ამასთან, ფიზიკური პირებისთვის პარტიებისათვის შემოწირულობების წლიურ ზედა ზღვარად 60 ათასი ლარი განისაზღვრა. როგორც პოლიტიკური პარტიების შემოწირულობების მონაცემებიდან<sup>32</sup> ირკვევა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემომწირველებს შორის კვლავ აღმოჩნდნენ შპს „ფერისთან“ და მასთან დაკავშირებულ კომპანიებთან ასოცირებული პირები. ესენია: **ზურაბ ალავეიძე**, სს „დარიალი ენერჯის“ დირექტორი - მან მმართველ პარტიას 2012 წლის 30 ივლისს 35 ათასი ლარი შესწირა; **ლაშა იორდანიშვილი**, სს „დარიალი ენერჯის“ ყოფილი დირექტორი, შპს „ყაზბეგი ჰესის“ თანამფლობელი - მან მმართველ პარტიას 2012 წლის 10 ივლისს 40 ათასი ლარი შესწირა; ამავე დღეს **იოსებ მჭედლიშვილმა** (შპს „ფერის“ 96%-იანი წილის მფლობელი) ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შემოწირულობის მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა - 60 ათასი ლარი შესწირა.

<sup>30</sup> საქინფორმი, თეთრ არაგვზე ჰესის მშენებლობა დაიწყო, 2012 წ. 2 აგვისტო, [http://saqinform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=11072:2012-08-02-08-54-35&catid=99:actual1&Itemid=419#axzz2jrxq4508](http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=11072:2012-08-02-08-54-35&catid=99:actual1&Itemid=419#axzz2jrxq4508)

<sup>31</sup> იხ. <http://liberali.ge/mg-100-000-kombiteki-100-000-tbili-sakhli-100-000-sasursato-kombinati-100-000-mit-ana-100-000-lari>

<sup>32</sup> იხ. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ვებ-გვერდი: <http://unm.ge/index.php?m=137>

## 2. კომპანია „ფერისტან“ დაკავშირებული პირობებისა და რისკების პროექტი

### 2.1 ყაზბეგი ჰესი მდინარე ბროლისწყალზე (ხდისწყალზე)

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 აგვისტოს #15/08/07 განკარგულებისა<sup>33</sup> და ყაზბეგის მუნიციპალიტეტთან 2011 წლის 16 აგვისტოს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ფერისტან“, პირდაპირი მიყიდვის წესით, 200 ათას ლარად, შეიძინა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შპს „ყაზბეგი ჰესის“ 100-პროცენტული წილი. შპს „ყაზბეგი ჰესი“, პრივატიზაციის მომენტისთვის, ფლობდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, მდინარე ბროლისწყალზე (ხდისწყალზე) განთავსებულ მცირე, 0.38 მგვტ სიმძლავრის ჰესს - ყაზბეგი ჰესს<sup>34</sup>.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით (და ასევე ხელშეკრულებით) განსაზღვრული საპრივატიზაციო პირობებით, კომპანია ვალდებული იყო, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან:

- ერთი თვის ვადაში გადაეხადა საპრივატიზაციო თანხა;
- 24 თვის ვადაში გაეზარდა შპს „ყაზბეგი ჰესის“ საკუთრებაში არსებული ჰესის სიმძლავრე 2.5 მგვტ-მდე და შეეყვანა ის ექსპლუატაციაში;
- 25 თვის ვადაში შპს „ყაზბეგი ჰესის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტისთვის გადაეცა მიწის ის ფართობი, რომელიც არ წარმოადგენდა ჰესის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ტერიტორიას.

გემოლანიშნულის გარდა, პრივატიზების ხელშეკრულებით დადგინდა შემდეგი პირობები:

- კომპანიამ, ჰესის სიმძლავრის გაზრდისა და ექსპლუატაციაში შეყვანის ვალდებულების შესრულება, უნდა დაადასტუროს აუდიტორული დასკვნით (ხელშეკრულებაში ჩამოთვლილია 11 ორგანიზაცია, რომელთაგანაც შეუძლია აირჩიოს კომპანიას);
- დადგენილ ვადაში ჰესის სიმძლავრის გაზრდისა და ექსპლუატაციაში შეყვანის ვალდებულების შესრულებლობისთვის, კომპანიას ეკისრება პირგასამტეხლო 500 ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
- ანალოგიურ სანქციას ითვალისწინებს ხელშეკრულება მიწის ფართობის გადაცემის ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებით;
- ჰესის სიმძლავრის გაზრდისა და ექსპლუატაციაში შეყვანის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, კომპანიამ უზრუნველყო 200 ათასი აშშ დოლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობადი (ხელშეკრულების ვადის განმავლობაში მოქმედი და იქვე დაბუსტებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა - „ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 თვე“) საბანკო გარანტიის წარდგენა.

შპს „ყაზბეგი ჰესის“ ყიდვიდან თითქმის რვა თვეში, 2012 წლის 11 აპრილს, შპს „ფერისტან“ მთლიანად გაასხვისა 100-პროცენტული წილი ფიზიკურ პირებზე - ლაშა იორდანიშვილსა (66.67%) და ლელა იოსელიანზე (33.33%).

წილის გასხვისებიდან დაახლოებით თვენახევარში, 2012 წლის 29 მაისს, შპს „ყაზბეგი ჰესის“ მესაკუთრეებმა მიმართეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, გოჩა მალანას და მოითხოვეს ხელშეკრულების პირობების ცვლილება<sup>35</sup>. ცვლილების ხასიათს და აუცილებლობას ისინი, სულ ორი წინადადებით, შემდეგნაირად ხსნიან (იხ. ჩანართი 1):

<sup>33</sup> საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 აგვისტოს #15/08/07 განკარგულება „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შპს „ყაზბეგი ჰესის“ 100%-იანი წილის შპს „ფერისტანის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“

<sup>34</sup> ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (ესკო) ვებ-გვერდი: [http://www.esco.ge/index.php?article\\_id=18&clang=0](http://www.esco.ge/index.php?article_id=18&clang=0)

<sup>35</sup> ლაშა იორდანიშვილისა და ლელა იოსელიანის 2012 წლის 29 მაისის #133 წერილი თვითმმართველი ერთეულის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს გოჩა მალანას.

ჩანართი 1. ამონაკრები ლაშა იორდანიშვილისა და ლელა იოსელიანის 2012 წ. 29 მაისის წერილიდან

მას შემდეგ რაც ჩვენ შევიძინეთ შპს „ყაზბეგი ჰესის“, და შესაბამისად ვიკისრეთ შპს „ფერი“-სა და თქვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ყველა პირობის შესრულება, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მდინარე ბროლისწყალი, რომელზეც განთავსებულია ყაზბეგის ჰიდროელექტროსადგური, გააჩნია უფრო მეტი ჰიდრო პოტენციალი ვიდრე 2.5 მეგავატი.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, მოგმართავთ თხოვნით შეგვიცვალოთ საპრივატიზებო პირობა ნაცვლად 2,5 მეგავატისა ახალი 5-6 მეგავატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობით, რომელსაც ჩვენ განვახორციელებთ შპს „ყაზბეგი ჰესი“-ს მეშვეობით. ხოლო ყველა სხვა დანარჩენი პირობა დარჩება უცვლელი.

მიუხედავად აღნიშნულისა, ორი წინადადება საკმარისი აღმოჩნდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის, რომ ყოველგვარი შემდგომი მსჯელობის ან დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის გარეშე, იმავე დღეს, 2012 წლის 29 მაისს, მიემართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრისთვის, ვერა ქობალასთვის და შეეთავაზებინა პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების ცვლილება, შპს „ყაზბეგის ჰესის“ მოთხოვნის შესაბამისად. ქვემოთ წარმოდგენილია ამონარიდი, სადაც გორა მალანია სთავაზობს მინისტრს პრეზიდენტის განკარგულების ცვლილების ტექსტს (იხ. ჩანართი 2).

როგორც ჩანს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვისაც საკმარისი აღმოჩნდა ორი წინადადება გადაწყვეტილების მისაღებად და ხუთ დღეში, 2012 წლის 4 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 აგვისტოს #15/08/07 განკარგულებაში შეტანილ იქნა ცვლილება<sup>36</sup> - საპრივატიზებო პირობა შეიცვალა ზუსტად ისე, როგორც ამას შპს „ყაზბეგი ჰესის“ მფლობელები მოითხოვდნენ: არსებული, პრივატიზებული ჰესის სიმძლავრის გაზრდის ნაცვლად, კომპანიას მოეთხოვა მდინარე ბროლისწყალზე არანაკლებ 5 მგვტ სიმძლავრის ჰესის მშენებლობა და ექსპლუატაციაში შეყვანა (ვალდებულების შესრულების ვადის უცვლელად - 24 თვე).

ჩანართი 2. ამონაკრები ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წ.29 მაისის წერილიდან

„ამასთან ყაზბეგის მუნიციპალიტეტში შემოსულია ლაშა იორდანიშვილისა და ლელა იოსელიანის 2012 წლის 28 მაისის ერთობლივი წერილი, რომლითაც დასმულია საკითხი ზემოხსენებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. კერძოდ, ვინაიდან მდინარე ბროლისწყალს, რომელზეც განთავსებულია ყაზბეგის ჰიდროელექტროსადგური გააჩნია უფრო მეტი პოტენციალი ვიდრე 2,5 მეგავატია, შეიცვალოს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული პირობა და ნაცვლად მითითებული „შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 თვის ვადაში შ.პ.ს. „ყაზბეგი ჰესის“ საკუთრებაში არსებული ჰესის სიმძლავრის გაზრდა 2,5 მეგავატამდე და მისი ექსპლუატაციაში შეყვანა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 თვის ვადაში მდინარე ბროლისწყალზე არანაკლებ 5 მეგავატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაციაში შეყვანა“.

პრეზიდენტის განკარგულების ცვლილების შემდეგ, ცვლილებების პროცესმა კვლავ ყაზბეგში გადაინაცვლა და განკარგულებაში ცვლილების შეტანიდან მეორე დღესვე, 2012 წლის 5 ივნისს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტსა და შპს „ფერის“ შორის 2011 წელს დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაშიც ანალოგიური ცვლილება შევიდა<sup>37</sup>. საგულისხმოა, რომ მაშინ, როდესაც მთელი ეს პროცესი შპს „ყაზბეგი ჰესის“ მესაკუთრეების მიერ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის მიწერილი ორწინადადებიანი წერილით დაიწყო და მის შინაარსს არ გასცდომია, 2012 წლის 5 ივნისს დადებულ ხელშეკრულებაში (ცვლილებაში), მხარეები, ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებისას, აღნიშნავენ, რომ ისინი პრეზიდენტის განკარგულებით ხელმძღვანელობენ.

**ამგვარად, ყოველგვარი დასაბუთებისა და შესაძლო დადებითი ან უარყოფითი შედეგების გათვლის გარეშე, შპს „ყაზბეგი ჰესის“ მესაკუთრეთა სურვილის დასაკმაყოფილებლად, სხვადასხვა დონის სახელმწიფო სტრუქტურებმა, შეთანხმებულად, სულ ერთ კვირაში, მიიღეს გადაწყვეტილება მდინარე ბროლისწყალზე ახალი, არანაკლებ 5 მგვტ სიმძლავრის ჰესის აშენების შესახებ.**

<sup>36</sup> საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 4 ივნისის #04/06/02 განკარგულება „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შპს „ყაზბეგი ჰესის“ 100%-იანი ნილის შპს „ფერისთვის“ პირდაპირი მიყიდვის ფომით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 აგვისტოს #15/08/07 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

<sup>37</sup> 2012 წლის 5 ივნისის ხელშეკრულება თვითმმართველი ერთეულის ყაზბეგის მუნიციპალიტეტსა და შპს „ფერის“ შორის 2011 წლის 16 აგვისტოს დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ასეთი გადაწყვეტილებისას (იგულისხმება ახალი ჰესის მშენებლობა), მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ურთიერთგაგების მემორანდუმის დადებას საქართველოს მთავრობასა და ინვესტორ კომპანიას შორის<sup>38</sup>. ამდენად, ამ შემთხვევაშიც, გემოთ აღწერილი პროცესებიდან დაახლოებით ერთ თვეში, 2012 წლის 13 ივლისს, საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ (ესკო) და შპს „ყაზბეგი ჰესს“ შორის დაიდო ურთიერთგაგების მემორანდუმი.

ქვემოთ განხილულია ურთიერთგაგების მემორანდუმით, პრივატიზაციის ხელშეკრულებით და პრეზიდენტის განკარგულებით დადგენილი ზოგიერთი მნიშვნელოვანი პირობა, ასევე მოკლედაა მიმოხილული როგორ, ასრულებდა ამ დრომდე კომპანია მის მიერ აღებულ ვალდებულებებს და როგორ რეაგირებდნენ შესაბამისი ორგანოები.

### **2.1.1 პროექტის განხორციელების ვადები, ლიცენზიები და ნებართვები**

ურთიერთგაგების მემორანდუმით, სიმძლავრესთან ერთად (არანაკლებ 5 მგვტ), განისაზღვრა ახალი ჰესის ადგილმდებარეობა (1570 - 1300 მ ნიშნულები) და მშენებლობის დაწყებისა და დასრულების ვადები (2012 წ. 10 ოქტომბერი - 2013 წ. 16 აგვისტო).

კომპანიას ჰესის მშენებლობისთვის მიეცა დაახლოებით 10 თვე, ხოლო მშენებლობის დასაწყებად აუცილებელი ნებართვების მისაღებად, მხარეებმა (მთავრობამ და კომპანიამ) **სულ სამი თვე** გამოყვეს. ამავე დროს, მემორანდუმითვე, საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება, რომ **ყველანაირად შეუნყოფდა ხელს კომპანიას პროექტის განხორციელებაში, „რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს სათანადო ნებართვებისა და ლიცენზიების მოპოვებასთან“** (მემორანდუმის 3.5 პუნქტი).

მშენებლობის დაწყების ვადის დადგენა და ნებართვებისა და ლიცენზიების მოპოვებაში დახმარების აღთქმა, ინტერესთა კონფლიქტს უქმნის, როგორც საქართველოს მთავრობას, ისე მის კონტროლს დაქვემდებარებულ იმ ორგანოებს, რომელთა უშუალო კომპეტენციასაც წარმოადგენს ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემა. მემორანდუმით ამგვარი პირობების დაწესება, სხვა არაფერია, თუ არა კიდევ ერთხელ იმის ხაზგასმა, რომ გადაწყვეტილება ჰესის მშენებლობაზე უკვე მიღებულია და სახელმწიფო ორგანოებმა, ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემით, უბრალოდ უნდა შეასრულონ ის (ლიცენზიებისა და ნებართვების გაუცემლობის შესაძლებლობა არც კი განიხილება).

### **2.1.2 გამომუშავებული ელექტროენერჯის შესყიდვა**

„ქვეყნის ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით“, მემორანდუმის 3.3 პუნქტის თანახმად, კომპანია ვალდებულია, ჰესის ექსპლუატაციის დაწყებიდან 10 წლის განმავლობაში, ყოველი წელს, სამი თვის განმავლობაში (ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი), ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია სრულად მიჰყიდოს საქართველოს ენერჯის სისტემას შიდა მოხმარებისათვის.

ამასთან, მემორანდუმის შემდეგი, 3.4 პუნქტი ანებს დამატებით პირობებს - ამ პუნქტით, კომპანია ვალდებულია, ჰესის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, ჰესის მიერ გამომუშავებული მთელი ელექტროენერჯია მიჰყიდოს ესკო-ს. დადგენილია ასევე შესასყიდი ელექტროენერჯის ფასი (ოქტომბრიდან მარტის ჩათვლით - 6.5 აშშ ცენტი, აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით - 5 აშშ ცენტი) და სანქცია (პუნქტი 3.4.1) იმ შემთხვევისთვის, თუ კომპანია არ მიჰყიდის ელექტროენერჯიას ესკო-ს (კომპანია ვალდებულია გადაუხადოს ესკო-ს 0.01 აშშ დოლარი იმ ყოველ 1 კვტ/სთ ენერჯიაზე, რომელიც გამომუშავდა (ან ვერ გამომუშავდა კომპანიის ბრალეული ქმედების გამო) და არ იქნა მიყიდული ესკო-სთვის).

აბსურდულია, მაგრამ ფაქტია, რომ *მემორანდუმის 3.4.2 პუნქტი მთლიანად უხსნის კომპანიას აღნიშნულ ვალდებულებებს (გარდა ზამთრის სამი თვის განმავლობაში ელექტროენერჯის აუცილებელ მიყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულებისა)*. 3.4.2 პუნქტის თანახმად, კომპანიას უფლება აქვს, ნებისმიერ დროს,

<sup>38</sup> ელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობასთან გასაფორმებელი მემორანდუმებისთვის სპეციალურ წესს ადგენს საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის #107 დადგენილება „სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერჯია 2008“ - საქართველოში განახლებადი ენერჯიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“. მართალია 107-ე დადგენილება არ ვრცელდება საქართველოს მთავრობის მიერ ელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით გაფორმებულ ყველა მემორანდუმზე და შეთანხმებაზე (დადგენილება თავად ადგენს გამონაკლისებს), ამ დრომდე დადებული მემორანდუმების უმეტესობა, ხშირ შემთხვევაში, იმეორებს დადგენილებით განსაზღვრული საზოგადო ურთიერთგაგების მემორანდუმის პირობებს (თუმცა, არის ისეთებიც, რომლებიც პრინციპულად განსხვავებული ხასიათის პირობებს ითვალისწინებენ). დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. „ენერგეტიკული პროექტების განსახორციელებლად დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმები და შეთანხმებები: სამართლებრივი ანალიზი“ (2012 წ. დეკემბერი). პუბლიკაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

მთავრობისა და ესკო-სთვის წერილობითი შეტყობინების წარდგენით, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე და ამისთვის მას არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. სამთვიანი პერიოდის გარდა, კომპანია თავისუფალია ჰესის მიერ გამოთქმული ელექტროენერჯის მიყიდვის შეჩვენებაში, „როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე ექსპორტზე“ (3.4.3 პუნქტი).

ვალდებულება, რომლის შესრულებაზეც ნებისმიერ დროს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, შეიძლება უარის თქმა და რომლის შეუსრულებლობაზეც არ წესდება რაიმე სანქცია - ბუნებრივია, არ შეიძლება განხილულ იქნეს ვალდებულებად.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღწერილის მსგავს ფსევდო-ვალდებულებას ითვალისწინებს შპს „ენერჯისთან“ (კომპანიის წილების 30%-ს ფლობს შპს „ფერი“) ლარსის ჰესის პროექტის თაობაზე დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმიც - ეს „ვალდებულება“ მემორანდუმში 2012 წლის 13 ივლისს შეტანილი ცვლილებების შედეგად გაჩნდა; ასევე შპს „ენერჯისთან“ შილდა ჰესის პროექტის თაობაზე ამავე დღეს, 2012 წლის 13 ივლისს, დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმში.

### 2.1.3 საბანკო გარანტია ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად

ურთიერთგაგების მემორანდუმში არ ითვალისწინებს საბანკო გარანტიის წარდგენის ვალდებულებას, მემორანდუმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. სამაგიეროდ, საბანკო გარანტიის წარდგენის ვალდებულებას ითვალისწინებს მდ. ბროლისწყალზე უკვე არსებული, მოქმედი მცირე ჰესის ნასყიდობის ხელშეკრულება; როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ნასყიდობის ხელშეკრულება ითვალისწინებს 200 ათასი აშშ დოლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტიის წარდგენას. ვინაიდან ნასყიდობის ხელშეკრულებაში, არსებული ჰესის სიმძლავრის გაზრდის ვალდებულება ჩანაცვლდა ახალი, არანაკლებ 5 მგვტ სიმძლავრის ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში შეყვანის ვალდებულებით, შეიძლება ვიგულისხმობთ, რომ სწორედ 200 ათასი აშშ დოლარის ოდენობის საბანკო გარანტიითაა უზრუნველყოფილი ახალი ჰესის მშენებლობა მდ. ბროლისწყალზე (მემორანდუმით განსაზღვრულ სხვა ვალდებულებების უზრუნველყოფაზე, ბუნებრივია, ეს საბანკო გარანტია ვერ გავრცელდება).

საბანკო გარანტიის წარდგენის საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია, მცირედ მიმოვიხილოთ ამ სფეროში გამოყენებული პრაქტიკა და ასევე, კანონმდებლობის მოთხოვნები. 2012 წელს მწვანე ალტერნატივამ სამართლებრივი თვალსაზრისით გაანალიზა 2007-2011 წლებში სხვადასხვა კომპანიასთან საქართველოს მთავრობის მიერ ელექტროსადგურების მშენებლობისა და ოპერირების თაობაზე დადებული 15 ურთიერთგაგების მემორანდუმში<sup>39</sup>. ამ 15 ურთიერთგაგების მემორანდუმიდან, შვიდი ითვალისწინებს საბანკო გარანტიის წარდგენის ვალდებულებას, რვა კი - არა<sup>40</sup>. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია 15 ურთიერთგაგების მემორანდუმის შესახებ: ცხრილის მეორე სვეტში მოცემულია კომპანიის დასახელება, რომელთანაც დაიდო ურთიერთგაგების მემორანდუმში და მემორანდუმის დადების თარიღი; მესამე სვეტში წარმოდგენილია მემორანდუმების საგანი - ელექტროსადგურები და მათი სიმძლავრეები (როგორც ეს განსაზღვრულია თავად მემორანდუმებით); მეოთხე სვეტში მოცემულია ინვესტიციის სავარაუდო მოცულობა, როგორც ეს განსაზღვრულია თავად მემორანდუმებით; ცხრილის ბოლო სვეტში კი, წარმოდგენილია მემორანდუმებით დადგენილი საბანკო გარანტიის ოდენობა და მისი პროცენტული თანაფარდობა ინვესტიციის სავარაუდო მოცულობასთან<sup>41</sup>.

<sup>39</sup> იხ. „ენერჯეტიკული პროექტების განსახორციელებლად დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმები და შეთანხმებები: სამართლებრივი ანალიზი“ (2012 წ. დეკემბერი) ვებ-გვერდზე: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

<sup>40</sup> აღნიშნული რვიდან, ერთ-ერთს მოგვიანებით დაუდგინდა საბანკო გარანტიის წარდგენის ვალდებულება (იხ. ცხრილი ქვემოთ)

<sup>41</sup> ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილი მემორანდუმებიდან, მხოლოდ პირველშია მითითებული ზუსტად საბანკო გარანტიის პროცენტული თანაფარდობა ინვესტიციის სავარაუდო მოცულობასთან (და არ არის გამოხატული ფულად ერთეულში); დანარჩენებში, საბანკო გარანტია გამოხატულია ფულად ერთეულში.

ცხრილი 1. 2007-2011 წლებში საქართველოს მთავრობასა და კომპანიებს შორის ელექტროსადგურების თაობაზე დადებული ზოგიერთი ურთიერთგაგების მემორანდუმი.

№	კომპანია და ურთიერთგაგების მემორანდუმის დადების თარიღი	ელექტროსადგური და დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	ინვესტიციის სავარაუდო მოცულობა	საბანკო გარანტიის ოდენობა და პროცენტული თანაფარდობა ინვესტიციის სავარაუდო მოცულობასთან
1	შპს „აჭარ ენერჯი 2007“ (2008 წ. 28 თებერვალი)	კინტრიშის ჰესი (7.50) ქობულეთის I ჰესი(13.30) ქობულეთის II ჰესი (14.30) კირნათის ჰესი (14.40) ხელვაჩაურის ჰესი (22.40) ჭოროხის I-II ჰესები (48.00)	167 860 000 აშშ დოლარი	5 035 800 აშშ დოლარი 3 %
2	შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერი“ (2009 წ. 14 მაისი)	ბახვი III ჰესი (6)	9 700 000 აშშ დოლარი	1 020 000 აშშ დოლარი დაახლ. 10 %
3	სს „კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასტრუქჩა“ (2008 წ. 24 ნოემბერი)	მტკვარი ჰესი (28)	50 000 000 აშშ დოლარი	4 760 000 აშშ დოლარი დაახლ. 9%
4	შპს „ენერგო-არაგვი“ (2007 წ.; ზუსტი თარიღი უცნობია)	ჰესების კასკადი მდ. თეთრი არაგვის ხეობაში, სოფელ მემო მღეთის ჩრდილოეთით (8)	არ არის დადგენილი <sup>42</sup>	არ არის მოთხოვნილი <sup>2</sup>
5	შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯია“ (2009 წ. 15 სექტემბერი)	ხობიჰესი-2 (25) ხობიჰესი-3 (11)	64 000 000 აშშ დოლარი	არ არის მოთხოვნილი
6	Nuroi Energy Production and Marketing Inc. (ნუროლი), Korea Electric Power Corporation (კეპკო), SK Engineering and Construction Co., Ltd (სკ ე & სი) (2009 წ. 8 დეკემბერი)	ჟონეთის ჰესი (100) ნამახვანის ჰესი (250) ტიშის ჰესი (100)	1 000 000 000 აშშ დოლარი	არ არის მოთხოვნილი
7	შპს „რუსმეტალი“ (2009 წ. 27 ივლისი)	ლუხუნი 1 (10.8) ლუხუნი 2 (12) ლუხუნი 3 (7.5)	39 000 000-დან 51 000 000-მდე აშშ დოლარი	არ არის მოთხოვნილი
8	შპს „ზოტი ჰიდრო“ (2009 წ. 28 მაისი)	ზოტის ჰესი (36) ყვირილა ჰესი (5.20)	78 000 000-დან 92 000 000-მდე აშშ დოლარი	არ არის მოთხოვნილი
9	შპს „ჯორჯიან რეილვეი ქონსტრუქშენ“ (2010 წ. 11 ივნისი)	ნენსკრა ჰესი	არ არის დადგენილი	არ არის მოთხოვნილი
10	Kolin Construction, Tourism, Industry and Trading Co, Inc (2010 წ. 10 ნოემბერი)	ნობულევის ჰესი (25.70) ცხიმრას ჰესი (32.00) ერჯია ჰესი (27.00) ლეჩხა ჰესი (21)	150 000 000 აშშ დოლარი	წინასამშენებლო პერიოდისთვის - 2 000 000 აშშ დოლარი, დაახლ. 1% მშენებლობის პერიოდისთვის - 10 000 000 აშშ დოლარი, დაახლ. 7% გათვალისწინებულია დამატებითი საბანკო გარანტიის წარდგენის შესაძლებლობა, მაგრამ ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 20 მლნ აშშ დოლარს, დაახლ. 13 %
11	UNAL INSAAT VE TICARET AS (2010 წ. 28 დეკემბერი)	ხუნევი ჰესი (11.00)	19 780 000 აშშ დოლარი	1 921 000 აშშ დოლარი დაახლ. 10%
12	სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ (2011 წ. 15 თებერვალი)	ალპანა ჰესი (71) სადმელის ჰესი (97)	305 000 000 აშშ დოლარი	არ არის მოთხოვნილი

<sup>42</sup> დადგინდა მემორანდუმის დადებიდან ოთხი წლის შემდეგ, 2011 წლის 15 სექტემბერს (მემორანდუმში შევიდა ცვლილებები). ინვესტიციის სავარაუდო მოცულობად განისაზღვრა 8 მილიონი აშშ დოლარი.

<sup>43</sup> მემორანდუმში 2011 წლის 15 სექტემბერს შეტანილი ცვლილებებით, კომპანიას დაევალა ერთი მილიონი აშშ დოლარის ოდენობის საბანკო გარანტიის წარდგენა, რაც შეადგენს ინვესტიციის სავარაუდო მოცულობის 12.5 პროცენტს.

№	კომპანია და ურთიერთგაგების მემორანდუმის დადების თარიღი	ელექტროსადგური და დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	ინვესტიციის სავარაუდო მოცულობა	საბანკო გარანტიის ოდენობა და პროცენტული თანაფარდობა ინვესტიციის სავარაუდო მოცულობასთან
13	Optimum Enerji Uretim A.S. (2011 წ. 19 თებერვალი)	არაკალი ჰესი (11) აბული ჰესი (20) ახალქალაქის ჰესი (15)	90 000 000 <i>აშშ დოლარი</i>	9 080 000 მლნ აშშ დოლარი <i>დაახლ. 10%</i>
14	შპს „ენერჯია“ (2011 წ. 17 მაისი)	<i>ლარსი ჰესი (20.00)</i>	20 000 000 <i>აშშ დოლარი</i>	3 400 000 <i>დაახლ. 17%</i>
15	Wind Energy Investment (2011 წ. 23 მაისი)	<i>ქარის ელექტროსადგური ფარავნის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე (50)</i>	70 000 000 <i>აშშ დოლარი</i>	<i>არ არის მოთხოვნილი</i>

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, მთავრობის მიერ მოთხოვნილი საბანკო გარანტიების ოდენობა მერყეობს 3 პროცენტიდან 17 პროცენტამდე, ზოგ შემთხვევაში კი, კომპანიებს საერთოდ არ მოეთხოვებათ საბანკო გარანტიის წარდგენა ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. შპს „ყაზბეგი ჰესის“ შემთხვევაში, ინვესტიციის სავარაუდო მოცულო 3 მლნ დოლარს შეადგენს (განსაზღვრულია ურთიერთგაგების მემორანდუმით), მოთხოვნილი საბანკო გარანტიის ოდენობა კი, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 200 ათას აშშ დოლარს (განსაზღვრულია ნასყიდობის ხელშეკრულებით), რაც ინვესტიციის სავარაუდო მოცულობის დაახლოებით 7%-ს შეადგენს.

მემორანდუმების ანალიზიდან არ ჩანს რაიმე კანონზომიერება, რომელიც დაასაბუთებდა სხვადასხვა კომპანიებისთვის მოთხოვნილი საბანკო გარანტიის ოდენობის მართებულობას ან ზოგისთვის საბანკო გარანტიის საერთოდ მოუთხოვნელობას. საბანკო გარანტიების „შერჩევითად“ მოთხოვნის საკითხი შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების გამოძიების საგანი უნდა გახდეს. აქ კი, დავამატებთ, რომ ცხრილში ჩამოთვლილი მემორანდუმების შემთხვევაში (ისევე როგორც ყაზბეგი ჰესის შემთხვევაში), საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილია მხოლოდ ის ვალდებულებები, რომლებიც კომპანიებს გააჩნიათ ელექტროსადგურების მშენებლობასა და ექსპლუატაციაში გაშვებასთან დაკავშირებით. საბანკო გარანტიით არაა უზრუნველყოფილი კომპანიების ის ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია ელექტროსადგურების ექსპლუატაციისას წარმოებული ელექტროენერჯიის რეალიზაციას საქართველოს შიდა საჭიროებისთვის, სამთვიანი პერიოდის განმავლობაში.

რაც შეეხება კანონმდებლობას, ელექტროსადგურების მშენებლობაზე, ექსპლუატაციასა და ფლობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმის დადებისას საბანკო გარანტიის დადგენის მეთოდს და წარდგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის #107 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერჯია 2008“ - საქართველოს განახლებადი ენერჯიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესი“<sup>44</sup>. ამ რეგულაციის თანახმად, „დადგენილ ვადაში ელექტროსადგურის მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ მიღების უზრუნველსაყოფად“, კომპანიამ უნდა წარადგინოს ყოველი მეგავატისათვის 170 ათასი აშშ დოლარის ან 120 ათასი ევროს ოდენობის საბანკო გარანტია, ელექტროსადგურის ჯამური დადგმული სიმძლავრის მიხედვით. ყურადსაღებია, რომ რეგულაციით დადგენილი ეს და სხვა წესები არ ვრცელდება ყველა ელექტროსადგურზე; დადგენილია მთელი რიგი გამონაკლისები (23-ე, 23<sup>2</sup>-ე და 24-ე პუნქტებით - ძირითადად, დაფუძნებულია ელექტროსადგურის წარმადობაზე) და ასევე, დაშვებულია სამოდელო მემორანდუმის პროექტში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობაც (მე-6 პუნქტი).

აღნიშნული რეგულაცია არასრულყოფილია, მათ შორის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ასევე შეიცავს არაერთ სადავო ნორმას. მიუხედავად ამისა, **თუ საქართველოს მთავრობა / ენერჯეტიკის სამინისტრო, რეგულაციით დადგენილ წესებს გაავრცელებდა მდინარე ხდისწყალზე დაგეგმილ ჰესზე<sup>45</sup>, შპს „ყაზბეგი**

<sup>44</sup> 2013 წლის 21 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ #214 დადგენილებით დაამტკიცა „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესი“. ეს ახალი წესი მის ამოქმედებამდე დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმებზე არ ვრცელდება.

<sup>45</sup> ამის შესაძლებლობას ითვალისწინებს რეგულაციის 23<sup>1</sup> პუნქტი და მისი „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად: თუ პირი გეგმავს ისეთი ელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობის შესწავლას, რომელიც არ არის მოქცეული განახლებადი ენერჯიის პოტენციური წყაროების ნუსხაში, ის ვალდებულია ამის შესახებ წერილობით აცნობოს საქართველოს მთავრობას და ენერჯეტიკის სამინისტროს. ამასთან, თუ ამ ელექტროსადგურის სიმძლავრე არ აღემატება 100 მეგავატს, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია შეიტანოს იგი განახლებადი ენერჯიის პოტენციური წყაროების ნუსხაში.



**ჰესის“ მიერ ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად წარსადგენი საბანკო გარანტიის ოდენობა ბევრად მეტი იქნებოდა, ვიდრე მას ამჟამად აქვს დადგენილი. ასეთ შემთხვევაში, 200 ათასი აშშ დოლარის ნაცვლად, კომპანიას 850 ათასი აშშ დოლარის ოდენობის საბანკო გარანტიის წარდგენა დაევალებოდა.**

საბანკო გარანტიებთან დაკავშირებით, საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება: საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის 107-ე დადგენილებით დამტკიცებული რეგულაცია ითვალისწინებს კომპანიის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტიის დროთა განმავლობაში შემცირების შესაძლებლობას. საგულისხმოა, რომ ეს შესაძლებლობა სამჯერ იქნა გამოყენებული შპს „ენერჯის“ მიმართ (კომპანიის 30%-იან წილს ფლობს შპს „ფერი“), რომელიც დარიალის ხეობაში 19 მგვტ სიმძლავრის ლარსის ჰესს აშენებს. კერძოდ, შპს „ენერჯის“ 3 400 000 აშშ დოლარის საბანკო გარანტია პირველად შეუმცირდა 2012 წლის 11 მაისს - 2 034 600 აშშ დოლარამდე, მეორედ - 2012 წლის 21 დეკემბერს - 1 430 000 აშშ დოლარამდე და მესამედ - 2013 წლის 2 მაისს - 575 000 აშშ დოლარამდე<sup>46</sup>.

#### **2.1.4 საურავები ვალდებულებების შესრულებლობისთვის**

ვფიქრობთ, შესაბამისი ორგანოების გამოძიების საგანი უნდა გახდეს, ასევე, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ჰესების მშენებლობაზე, ოპერირებასა და ფლობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას ეხება.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საბანკო გარანტიების მოთხოვნის პრაქტიკა ვარირებს პროექტიდან პროექტამდე და ასევე, ნათელია კომპანიების მიმართ შერჩევითი მიდგომის გამოყენების პრაქტიკა. როგორც ჩანს, ენერჯეტიკის სამინისტრო/საქართველოს მთავრობა შერჩევითად უდგებოდა ვალდებულებების შესრულებლობისთვის საურავების გამოყენების საკითხსაც. კერძოდ, ზემოთ მოყვანილ ცხრილში აღწერილ არცერთ შემთხვევაში, გარდა ორისა, არ არის დაწესებული რაიმე სახის ფულადი საურავები ვალდებულებების შესრულებლობისთვის. გამონაკლისია მხოლოდ Kolin Construction, Tourism, Industry and Trading Co, Inc-თან (2010 წ. ჯამში 105 მგვტ) და Optimum Enerji Uretim A.S. (2011 წ., 11 მგვტ) დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმები. ამ მემორანდუმებით, ნებართვების მოპოვების, მშენებლობის დაწყებისა და დასრულების, ექსპლუატაციაში შეყვანის ვალდებულებების დროულად შესრულებლობისას, კომპანიები ვალდებული არიან გადაიხადონ მემორანდუმებით დადგენილი საკმაოდ მკაცრი (თუ გავითვალისწინებთ, რომ სხვებს საერთოდ არ აქვთ დადგენილი) საურავები. ასე მაგალითად, ყოველ დაგვიანებულ დღეზე, პირველიდან 30-ე დღის ჩათვლით, ზემოაღნიშნული ორი კომპანია ვალდებულია გადაიხადონ 1000 აშშ დოლარი, 31-დან მე-60-ე დღის ჩათვლით - 2 ათასი აშშ დოლარი და ა.შ. 150-ე დაგვიანებული დღის შემდეგ კომპანიების საურავები ყოველ დაგვიანებულ დღეზე საურავი 45 ათას აშშ დოლარამდეც კი იზრდება.

თუ დავუბრუნდებით შპს „ყაზბეგი ჰესს“, ამ შემთხვევაში ვალდებულებების შესრულებლობისთვის საურავების გამოყენების საკითხი, ურთიერთგაგების მემორანდუმის ნაცვლად, რეგულირდება ნასყიდობის ხელშეკრულებით (ისევე როგორც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საბანკო გარანტიის ოდენობა). ხელშეკრულებით, ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში შეყვანის ვალდებულების შესრულებლობისთვის, კომპანია ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ და მხოლოდ 500 ლარი დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ასევე, კომპანიამ უნდა გადაიხადოს იგივე ოდენობის თანხა და იგივე შექანიზმით, იმ შემთხვევაში, თუ ის დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ მეორე ვალდებულებას ყაზბეგის მუნიციპალიტეტისთვის მიწის ფართობის გადაცემის შესახებ.

#### **2.1.5 საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის 107-ე დადგენილება და ხდისწყალზე დაგეგმილი ჰესი**

მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის 107-ე დადგენილებით დამტკიცებული რეგულაციის მდინარე ხდისწყალზე დაგეგმილ ჰესზე გავრცელების საკითხთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ.

მთავრობის 107-ე დადგენილებით დამტკიცებული რეგულაციის მე-3 პუნქტი ავალდებულებს ენერჯეტიკის სამინისტროს, რომ მან დაადგინოს „განახლებადი ენერჯის პოტენციური წყაროების ნუსხა“. ნუსხაში ელექტროსადგურის მოქცევით, სახელმწიფო აცხადებს, რომ ის დაინტერესებულია მოიზიდოს ინვესტიცია, რეგულაციით დადგენილი პირობებით, ამ ელექტროსადგურის მშენებლობისა და ოპერირებისთვის. მე-3 პუნქტი

<sup>46</sup> იხ. ლარსის ჰიდროელექტროსადგურის თაობაზე დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი და მასში შესული ცვლილებები: <http://www.energy.gov.ge/4421>

იქვე ადგენს, რომ ნუსხამ, პერიოდულად, შეიძლება განიცადოს ცვლილებები - ენერგეტიკის სამინისტროს შეუძლია გადახედოს მას; თუმცა, რეგულაცია არაფერს ამბობს იმაზე, თუ კონკრეტულად, რის საფუძველზე შეიძლება შეიცვალოს ნუსხა.

ნუსხაში ცვლილებების შეტანის პრაქტიკა კი შემდეგია: რეგულაციის მიღებიდან დღემდე ნუსხაში 40-ზე მეტჯერ შევიდა ცვლილება; ცვლილებები, როგორც წესი, შემდეგი ხასიათისაა - იცვლება ჰესის/ჰესების წარმადობა (სავარაუდო სიმძლავრე); ნუსხას ემატება ახალი ჰესი/ჰესები ან აკლდება ნუსხაში უკვე მოქცეული ჰესი/ჰესები; იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც ჰესები შეტანილი იყო ნუსხაში, შემდეგ ამოღებულ იქნა და მოგვიანებით კვლავ დაემატა ნუსხას. ნუსხაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება ენერგეტიკის მინისტრის ბრძანებებით; ბრძანებებს კი, როგორც წესი, საფუძველად უდევს ენერგეტიკის სამინისტროს თანამშრომლების მოხსენებითი ბარათები, რომლებშიც ახსნილია ნუსხაში ცვლილების შეტანის აუცილებლობა.

მოთხოვნის საფუძველზე, მწვანე ალტერნატივამ ენერგეტიკის სამინისტროსგან მიიღო ნუსხაში ამ დრომდე შესული ცვლილებებისა და ამ ცვლილებების დამასაბუთებელი მოხსენებითი ბარათების ასლები. როგორც აღმოჩნდა, 2010 წელს, ასაშენებელი ჰესების ნუსხას დაემატა მდინარე ხდისწყალზე 9.3 მგვტ სავარაუდო დადგმული სიმძლავრის ჰესის მშენებლობა, თუმცა, იმავე წელს ჰესი ამოღებულ იქნა ნუსხიდან. ნუსხაში ჰესის დამატება და ამოღება კი, ასე მოხდა:

ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 17 თებერვლის #10 ბრძანებით, ნუსხას დაემატა ყაზბეგის რაიონში ასაშენებელი რამოდენიმე ჰესი, მათ შორის, მდინარე ხდისწყალზე ასაშენებელი ჰესი, შემდეგი მახასიათებლებით: დადგმული სიმძლავრე - 9.3 მგვტ, ელექტროენერჯის საშუალო წლიური გამომუშავება 41,14 მლნ.კვტ.სთ, მოდინებაზე. მინისტრის ეს ბრძანება გამოიყენა ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკული დეპარტამენტის უფროსის, ვახტანგ კიკვაძის 2010 წ. 15 თებერვლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ შპს „გროს-ენერჯი“<sup>47</sup>, შესწავლის საფუძველზე დაადგინა ახალი პოტენციური ჰესების მშენებლობის შესაძლებლობები და სქემები, მათ შორის, მდინარე ხდისწყალზე ზემოაღნიშნული მახასიათებლების მქონე ჰესის მშენებლობის შესაძლებლობა. სწორედ ამის საფუძველზე ურჩევს მოხსენებითი ბარათის ავტორი მინისტრს, დაამატოს ჰესი ნუსხას.

ნუსხაში ხდისწყალზე ასაშენებელი ჰესის დამატებიდან სულ რაღაც რვა თვეში, გამოიყენა მინისტრის ახალი ბრძანება (2010 წლის 12 ოქტომბრის #54 ბრძანება), რომლითაც ჰესი ამოღებულ იქნა ნუსხიდან. ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკული დეპარტამენტის უფროსის 2010 წლის 2 ოქტომბრის მოხსენებით ბარათში ჰესის ნუსხიდან ამოღების აუცილებლობა შემდეგნაირადაა დასაბუთებული:

ჩანართი 3. ამონაკრები ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკული დეპარტამენტის უფროსის, ვახტანგ კიკვაძის 2010 წ. 2 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათიდან

„...პოტენციური ჰესების განთავსებასთან დაკავშირებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და მისი სააგენტოების მიერ მუდმივად გამოითქმებოდა შენიშვნები, კერძოდ პოტენციური ჰესების და სხვადასხვა დაცული ტერიტორიების, ნაკრძალების, ეროვნული პარკების, მინერალური წყლების, სხვადასხვა სახის საბადოების ტერიტორიების ურთიერთგადაკვეთის შესახებ, რაც გვიქმნიდა წინააღმდეგობას კოორდინაციის დამტკიცებასა ინვესტირებთან ურთიერთობებში.

აღნიშნული საკითხის განხილვისა და შესაძლებლობების ფარგლებში პრობლემების მოგვარების მიზნით, რამოდენიმეჯერ გაიმართა კონსულტაციები გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, გარემოს ეროვნული სააგენტოს და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან.

კონსულტაციების პროცესში, აუცილებლობიდან გამომდინარე ჩვენი თხოვნით შპს „გროს-ენერჯი“ მიერ გადაისინჯა ენერგეტიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული რიგი პრობლემური ჰესები, შესაძლებლობის ფარგლებში გაკორექტირდა სქემები და რიგ ჰესებზე მოიხსნა წარმოქმნილი პრობლემები. კორექტირებული ჰესებიდან ნაწილმა განიცადა სქემების ცვლილება სიმძლავრის შეუცვლელად, რამოდენიმე განიცადა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების ცვლილება და შესაბამისად გამოიწვია სიმძლავრის ცვლილება, აუცილებელი გახდა რამოდენიმე ჰესის სიიდან ამოღება და ასევე დამატებაც... წარმოგიდგინებ იმ ჰესების ნუსხას, რომლებმაც განიცადეს სხვადასხვა სახის ცვლილებები...

3. ნუსხიდან ამოსაღებია და დასამატებელია შემდეგი ჰესები:

...

- ამოსაღებია ხდისწყალი 9.3 მგვტ - ჰესი მთლიანად ხვდება ყაზბეგის ეროვნული პარკისა და გვემარებით დაცულ ტერიტორიებზე.“

<sup>47</sup> კომპანია „გროს ენერჯი“, აშშ-ს საერთაშორისო დახმარების სააგენტოს დაფინანსებით (USAID/Winrock International), აწარმოებდა პოტენციური ჰიდროელექტროსადგურების იდენტიფიცირებას და ამზადებდა საინვესტიციო წინადადებებს. ასევე, კომპანიამ, საინვესტიციო წინადადებების საფუძველზე, შექმნა ობიექტების რეიტინგული შეფასების მათემატიკური მოდელი და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს პერსპექტიული ჰიდროენერგეტიკული ობიექტების მონაცემთა ბაზა. იხ. კომპანია „გროს ენერჯი“ ვებ-გვერდი: <http://www.gegroup.org/index.php?m=780>

ამგვარად, როგორც ზემოთ მოყვანილი ამონაკრებიდან ჩანს, 2010 წელსვე ხდისწყალზე ასაშენებელი ჰესი ამოღებულ იქნა განახლებადი ენერჯის პოტენციური წყაროების ნუსხიდან, არსებულ და გეგმარებით დაცულ ტერიტორიებთან თანხვედრის გამო.

ზემოთ აღწერილი გარემოებები, აჩენს ორ მნიშვნელოვან კითხვას, რომელიც, ვფიქრობთ, შიდაუნეებრივი ან შესაძლოა, სამართლდამცავი ორგანოების გამოკვლევის საგანიც კი უნდა გახდეს. კერძოდ:

1. თუ 2010 წელს ხდისწყალზე ჰესის მშენებლობა არ ჩაითვალა მიზანშეწონილად არსებულ და გეგმარებით ტერიტორიებთან თანხვედრის გამო, რა შეიცვალა 2012 წელს? რატომ დაკმაყოფილდა უპირობოდ, გარემოსდაცვითი კვლევის გარეშე, შპს „ყაზბეგი ჰესის“ მფლობელთა მოთხოვნა საპრივატიზაციო პირობის შეცვლაზე (არსებულის წარმადობის გაზრდის ნაცვლად, ახალი ჰესის მშენებლობაზე)? რატომ არ იქნა ჩატარებული კონსულტაციები გარემოს დაცვის სამინისტროსთან 2012 წელს, ისე როგორც ეს მოხდა 2010 წელს<sup>48</sup>?

2. მას შემდეგ, რაც შპს „ყაზბეგი ჰესის“ მფლობელებმა გამოხატეს ხდისწყალზე ახალი ჰესის აშენების ინტერესი, რატომ არ იქნა კვლავ ჩართული ხდისწყალზე ასაშენებელი ჰესი განახლებადი ენერჯის პოტენციური წყაროების ნუსხაში და შესაბამისად, არ გავრცელდა მასზე/კომპანიაზე საქართველოს მთავრობის 107-ე დადგენილებით განსაზღვრული წესი (ამის შესაძლებლობას იძლეოდა კანონმდებლობაც და მიღებული პრაქტიკაც)?

### **2.1.6 კომპეტენტურ ორგანოთა უარი ნებართვის გაცემაზე და თანმდევი ცვლილებები საპრივატიზებო პირობებსა და ურთიერთგაგების მემორანდუმში**

საპრივატიზებო ხელშეკრულებით და ურთიერთგაგების მემორანდუმით დადგენილია საინვესტიციო პროექტის პირობები, ასევე ახალი სანარმოს სავარაუდო წარმადობა (არანაკლებ 5 მგვტ სიმძლავრის ჰესი). იმისათვის, რომ პროექტი საბოლოოდ განხორციელდეს, კომპანიამ უნდა მოიპოვოს აუცილებელი ნებართვები კომპეტენტური ორგანოებისგან. ხდისწყალზე ახალი ჰესის მშენებლობისთვის, კომპანიამ უნდა შეადგინოს კანონმდებლობით მოთხოვნილი საპროექტო დოკუმენტაცია და ჩაატაროს დაგეგმილი ჰესის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება (შეადგინოს გზმ ანგარიში). ბოლოს, ამ დოკუმენტების საფუძველზე, კომპანიამ უნდა მოიპოვოს მშენებლობის ნებართვა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან და ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსგან<sup>49</sup>.

2012 წლის დასასრულს-2013 წლის დასაწყისში შპს „ყაზბეგი ჰესი“ შეეცადა მოეპოვებინა მშენებლობის ნებართვა და შესაბამისად, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაც, თუმცა, უშედეგოდ. კომპანიამ აუცილებელი სანებართვებო დოკუმენტების მისაღებად წარადგინა ძალზე უხარისხო (პრაქტიკულად, ორ კვირაში შესრულებული) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. ეს გარემოება (ანგარიში არ პასუხობდა კანონმდებლობის მოთხოვნებს) და ასევე, პროექტისადმი გამოხატული სერიოზული საზოგადოებრივი კრიტიკა და პროტესტი (იხ. ჩანართი 4. ქვემოთ) გახდა კომპეტენტური ორგანოების მიერ პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის საფუძველი: გარემოს დაცვის სამინისტრომ, 2013 წლის 18 მარტის ეკოლოგიური ექსპერტიზის #11 დასკვნაში ჩამოყალიბებული მიზეზების გამო, არ გასცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა შპს „ყაზბეგი ჰესის“ მიერ მდინარე ბროლისწყალზე 6 მგვტ სიმძლავრის ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე<sup>50</sup>. 2013 წლის 21 მარტს კი, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემაც არ გასცა მშენებლობის ნებართვა (მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადია)<sup>51</sup>.

<sup>48</sup> ცნობილია, რომ 2010 წელს გარემოს დაცვის სამინისტრომ მოამზადა კანონპროექტი ბუნების ძეგლების შესახებ, რომლითაც, სხვა ობიექტებს შორის, ხდის ხეობასაც ბუნების ძეგლის სტატუსი ენიჭებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, კანონპროექტის უწყებათაშორისი განხილვისას, სწორედ ენერჯეტიკის სამინისტროს ძალისხმევით, ბუნების ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად იდენტიფიცირებული ასამდე ობიექტის სია 14 ობიექტამდე შემცირდა; სხვა ობიექტებთან ერთად, კანონპროექტით განსაზღვრული სიიდან ამოღებულ იქნა ხდის ხეობაც.

<sup>49</sup> ამჟამინდელი საკანონმდებლო მოწყობით (რომელიც 2005 წელს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის ამოქმედებასთან ერთად ჩამოყალიბდა), გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, გასცემს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას იმ შემთხვევაში, თუ სანარმო არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას საქმიანობის დასაწყებად (მაგალითად, არსებული სანარმოს რეკონსტრუქციისას, წარმადობის შეცვლისას, ტექნოლოგიური გადაიარაღებისას და სხვ.). თუ საქმიანობის დასაწყებად აუცილებელია მშენებლობის ნებართვა (მაგალითად, ახალი სანარმოს მშენებლობისას და ექსპლუატაციისას), მაშინ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო გასცემს მხოლოდ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც მშენებლობის ნებართვის შემადგენელი ნაწილი და მისი პირობა ხდება (ამ შემთხვევაში, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პრაქტიკულად სანებართვო დოკუმენტია, რომელიც „ინტეგრირებულია“ სხვა სანებართვო დოკუმენტში - მშენებლობის ნებართვაში).

<sup>50</sup> საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს 2013 წლის 18 მარტის ეკოლოგიური ექსპერტიზის #11 დასკვნა მდინარე ბროლისწყალზე ჰიდროელექტროსადგურის (6 მგვტ სიმძლავრის „ყაზბეგი ჰესის“) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე.

<sup>51</sup> ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 21 მარტის #59 ბრძანება „ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდინარე ხდის (ბროლის) წყალზე 6 მგვტ. სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „ყაზბეგი ჰესის“ მშენებლობაზე ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე არჩეიტებული პროექტის, კონსტრუქციული და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმებაზე შ.პ.ს. „ყაზბეგი ჰესი“-სათვის უარის თქმის შესახებ“

ჩანართი 4. მდინარე ბროლისწყალზე დაგეგმილი ჰესის პროექტზე გამოთქმული საზოგადოებრივი კრიტიკის მოკლე მიმოხილვა

- მდინარე ბროლისწყალზე დაგეგმილი 6 მეგავატი სიმძლავრის ჰესის მშენებლობის პროექტს საზოგადოება, მათ შორის, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები, გეოლოგიისა და ჰიდროლოგიის ექსპერტები, მთასვლელები, ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი და უბრალოდ, დაინტერესებული მოქალაქეები, მეტად კრიტიკულად შეხვდნენ; საზოგადოებრივი პროტესტი, ძირითადად, ქვემოთ აღწერილი სამი საკითხის გარშემო ფოკუსირდა:
- 1. პროექტის დიზაინი:** შპს „ყაზბეგი ჰესი“ მიერ შემოთავაზებული დიზაინით, პროექტი ითვალისწინებდა მდინარის წყლის 90 პროცენტის სადანწეო მილსადენში მოქცევას და დაახლოებით ორკილომეტრიან მონაკვეთზე მდინარის კალაპოტში მხოლოდ საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10 პროცენტის დატოვებას. პროექტის გზმ ანგარიშში არ იყო წარმოდგენილი მდინარის ჰიდროლოგიური მონაცემები და ასევე არ იყო შესწავლილი და დასაბუთებული, რა ზეგავლენას მოახდენდა და საკმარისი იქნებოდა, თუ არა საშუალო მრავალწლიანი ხარჯის 10 პროცენტი, ზოგადად, მდინარის ეკოსისტემისთვის და კერძოდ, მდინარე ბროლისწყალზე დამოკიდებული ფაუნისთვის, მათ შორის თევზებისთვის.
  - 2. პროექტის განხორციელება ხდის ხეობაში:** ხდის ხეობაში, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ბინადრობს არაერთი იშვიათი და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობა, რომლებსაც იცავს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა. ამასთან, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, ხდის ხეობა, ბუნების ძეგლის სტატუსით, მეტწილი იყო საქართველოს წითელ წიგნში. 2006 წელს კი, კავკასიის 180-ზე მეტი ექსპერტის მიერ, ხეობა აღიარებულ იქნა კავკასიის ეკორეგიონის მნიშვნელოვანი კონსერვაციული უბნის (Priority Conservation Area) ნაწილად. იგეგმებოდა, ასევე, „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონპროექტის მიღება, სადაც ხდის ხეობას კვლავ უნდა მინიჭებოდა ბუნების ძეგლის სტატუსი. შპს „ყაზბეგი ჰესი“ მიერ წარმოდგენილ გზმ ანგარიშში არაა დაქვეყნებული იყო შეფასებული ხდის ხეობის ლანდშაფტისა და ხეობაში მოხინაღრე სახეობებზე პროექტის ზეგავლენის მასშტაბი და ხარისხი, ასევე, პროექტის ზეგავლენა ყაზბეგის ეროვნულ პარკსა და მისი გაფართოების პერსპექტივებზე.
  - 3. პროექტის საჭიროება და პოტენციური სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი:** გზმ ანგარიშში არ იყო შეფასებული და დასაბუთებული პროექტის საჭიროება, მიზანი და მიზნის მიღწევის ალტერნატიული საშუალებები. ანგარიშში არ იყო ასევე შესწავლილი და გაანალიზებული სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, მათ შორის, პროექტის გავლენა ხდის ხეობის ტურისტულ-რეკრეაციულ პოტენციალზე; არ იყო ჩატარებული ეკონომიკური ანალიზი, რომელიც დაადგენდა ტურიზმის და რეკრეაციის სექტორისადმი მიყენებულ პოტენციურ ზიანს.

პროექტის დაწყების უფლებების (მშენებლობის ნებართვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის) მოპოვების გარეშე, კომპანია, ბუნებრივია, ვერ დაიწყებდა პროექტის განხორციელებას. ეს კი, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საპრივატიზებო ხელშეკრულებით და ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრული ვადების დარღვევას გამოიწვევდა: ურთიერთგაგების მემორანდუმით - მშენებლობის დაწყების ვადად განსაზღვრული იყო 2012 წლის 10 ოქტომბერი, დასრულების ვადად კი (ამავე დოკუმენტით და ასევე, პრეზიდენტის განკარგულებითა და ნასყიდობის ხელშეკრულებით), 2013 წლის 16 აგვისტო. ამდენად, კომპეტენტური ორგანოებიდან პროექტის განხორციელებაზე უარყოფითი პასუხების მიღებიდან მოკლე დროში, შპს „ყაზბეგი ჰესმა“ წამოიწყო ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტში ცვლილებების შეტანის ლობირება.

2013 წლის 3 აპრილს შპს „ყაზბეგი ჰესმა“ ორი, პრაქტიკულად ერთნაირი შინაარსის წერილით მიმართა საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს<sup>52</sup>. ერთი წერილით კომპანია ითხოვს საპრივატიზებო პირობის (პრეზიდენტის განკარგულებისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტთან დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულების), მეორეთი კი, ურთიერთგაგების მემორანდუმით დადგენილი პირობის შეცვლას, რომელიც მშენებლობის დასრულებისა და ჰესის ექსპლუატაციაში შეყვანის ვადას ეხება. კერძოდ, კომპანია ითხოვს ვალდებულების ერთი წლით - 2014 წლის 16 აგვისტომდე - გადავადებას. ორივე წერილში საინტერესოა, როგორ ასაბუთებს კომპანია ვალდებულების გადავადების საჭიროებას და როგორ რეაგირებენ კომპანიის მოთხოვნაზე ხელისუფლების ორგანოები.

ორივე წერილში კომპანია აღწერს, რომ მან გასწია დიდი სამუშაო და ხარჯები კანონმდებლობის მოთხოვნათა შესასრულებლად, მაგრამ კომპეტენტურმა ორგანოებმა მაინც არ გასცეს აუცილებელი სანებართვო დოკუმენტები. კომპანია ადანაშაულებს კომპეტენტურ ორგანოებს - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გარემოს დაცვის სამინისტროს - გადაწყვეტილებების მიღების ვადების დარღვევაში. გარდა ამისა, კომპანია ვალდებულებათა დროულად შეუსრულებლობას ამართლებს იმ გარემოებით, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა მოიცავს ისეთ შენიშვნებს, რომლებიც სამინისტროს უფრო ადრე, საჯარო განხილვების ეტაპზე არ მიუცია კომპანიისთვის. ამასთან, კომპანია აღნიშნავს, შემდეგ: „გარემოს დაცვის სამინისტროს პოზიციის გათვალისწინებით, ყაზბეგი ჰესის მშენებლობის ნებართვის მისაღებად გაჩნდა საჭიროება საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადდეს გარემოზე ზემოქმედების

<sup>52</sup> ერთ წერილს (#2404) ხელს აწერენ კომპანიის მფლობელები, ლაშა იორდანიშვილი და ლელა იოსელიანი (ამ წერილის მეორე ადრესატია ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო), ხოლო მეორეს (#2403) - ხელს აწერს კომპანიის დირექტორი გიორგი გოგავა.

შეფასების ახალი ანგარიში, რაც საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს (პროცედურა საჭიროებს რამდენიმე თვეს)“. ამგვარად, ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე (და მშენებლობის ტექნოლოგიური პროცესების გათვალისწინებით - სემონურად ჩასატარებელი სამუშაოების გამო), კომპანია ამტკიცებს, რომ ვალდებულების დროულად შესრულება, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შეუძლებელია და ითხოვს მშენებლობის დასრულების ვადის ერთი წლით გადავადებას. ერთ-ერთ წერილში, დასასრულს, შპს „ყაზბეგი ჰესის“ დირექტორი გიორგი გოგავა ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს ახსენებს, რომ მთავრობა ვალდებულია, დაეხმაროს კომპანიას ნებართვებისა და ლიცენზიების მოპოვებაში (იხ. ჩანართი 5. ქვემოთ).

ჩანართი 5. ამონარიდი საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრისათვის მიწერილი შპს „ყაზბეგი ჰესის“ დირექტორის გიორგი გოგავას 2013 წლის 3 აპრილის წერილიდან (#2403).

„აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ მემორანდუმის 3.5 პუნქტის შესაბამისად მთავრობამ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ყველანაირად უნდა შეუწყოს ხელი კომპანიას პროექტის განხორციელებაში, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს სათანადო ნებართვებისა და ლიცენზიების მიღებასთან“.

შპს „ყაზბეგი ჰესის“ ზემოაღნიშნული ორი წერილიდან მოკლე ხანში, დაახლოებით ორ კვირაში, შესაბამისმა ორგანოებმა (ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ<sup>53</sup>, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ<sup>54</sup>, სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ<sup>55</sup>), ყოველგვარი განმარტებისა და შენიშვნის გარეშე, დააკმაყოფილეს კომპანიის მოთხოვნა და ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში შეყვანის ვალდებულება 2014 წლის 16 აგვისტომდე გადაავადეს: 2013 წ. აპრილ-მაისში გამოიცა საქართველოს მთავრობისა<sup>56</sup> და საქართველოს პრეზიდენტის<sup>57</sup> შესაბამისი აქტები (ცვლილება შევიდა მემორანდუმსა და პრეზიდენტის განკარგულებაში) და ოდნავ მოგვიანებით (2013 წ. ივნისში) ცვლილება შევიდა პრივატიზაციის ხელშეკრულებაშიც<sup>58</sup>.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას ხსნიდა, როგორც თავად აღნიშნავდა - „მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით“. ყურადსაღებია, რომ არცერთმა უწყებამ არ განია ძალისხმევა და არ გამოიკვლია, მართლაც კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დადგა ამის საჭიროება, თუ არა. ეს უპირველეს ყოვლისა, არაპროფესიონალური მიდგომის მაჩვენებელია და ასევე, არაკოლეგიურია გარემოს დაცვის სამინისტროს მიმართ. შესაბამისი აქტების გამოცემისას, განმარტებით ბარათებში, სახელმწიფო ორგანოები თითქმის სიტყვა-სიტყვით, ბრმად იმეორებენ კომპანიის მიერ მოყვანილ მიზეზებს და ამით ასაბუთებენ აქტების მიღების საჭიროებას. ქვემოთ მოკლედაა განხილული შპს „ყაზბეგი ჰესის“ მიერ მოყვანილი მიზეზები და ის გარემოებები, რომლებიც არ იქნა გამოკვეთილი სახელმწიფო ორგანოების მიერ.

<sup>53</sup> 2013 წლის 15 აპრილის წერილი #03/1925; ეს სამინისტრო ასევე იყო საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 აპრილის #339 განკარგულების პროექტის ავტორი და წარმდგენი.

<sup>54</sup> ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 15 აპრილის #34 წერილი ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილეს ილია ელოშვილს. წერილში საკრებულოს თავმჯდომარე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სახელით, გამოთქვამს მზადყოფნას, შეტანილ იქნეს ცვლილება პრივატიზაციის ხელშეკრულებაში და კომპანიას გადაუვადდეს ვალდებულების შესრულება 2014 წლის 16 აგვისტომდე. საინტერესოა, რომ საკრებულოს თავმჯდომარემ, ეს წერილი ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილეს გაუგზავნა მინისტრის მოადგილის იმავე დღით დათარიღებული - 15.04. 2013 #03/1921 წერილის საპასუხოდ. საგულისხმოა ასევე ისიც, რომ საკრებულოს თავმჯდომარის წერილიც ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გატარებულია (მიღებულია) ისევ 2013 წლის 15 აპრილს.

<sup>55</sup> პირველი იყო საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის #379 განკარგულების პროექტის ავტორი, მეორე უწყება კი მისი წარმდგენი.

<sup>56</sup> (1) საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 აპრილის #339 განკარგულება „საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და შპს „ყაზბეგი ჰესს“ სრის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე“; (2) საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის #379 განკარგულება „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შპს „ყაზბეგი ჰესის“ 100%-იანი წილის შპს „ფერისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 აგვისტოს #15/08/07 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტის შესახებ“.

<sup>57</sup> საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 7 მაისის #07/05/02 განკარგულება „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შპს „ყაზბეგი ჰესის“ 100%-იანი წილის შპს „ფერისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 აგვისტოს #15/08/07 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

<sup>58</sup> 2013 წლის 18 ივნისის ხელშეკრულება თვითმმართველ ერთეულს ყაზბეგის მუნიციპალიტეტს და შპს „ფერი“-ს შორის 2011 წლის 16 აგვისტოს დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**კომპანიის არგუმენტი 1:** კომპანიამ გასწია დიდი სამუშაო და ხარჯები კანონმდებლობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, მაგრამ კომპეტენტურმა ორგანოებმა მაინც არ გასცეს აუცილებელი სანებართვო დოკუმენტები.

კომპანიამ შესაძლოა მართლაც გასწია სამუშაო და ხარჯები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს ძალისხმევა ეფექტიანი იყო. საკმარისი იყო ხელისუფლების ორგანოებს ენახათ პროექტთან დაკავშირებული ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტის - პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიშის - შესავალი ნაწილი, რომ დარწმუნებულიყვნენ კომპანიის ამ არგუმენტის არამართებულობაში.

გზმ ანგარიშის შესავალი ნაწილიდან ირკვევა, რომ შპს „ყაზბეგი ჰესის“ მიერ გზმ კვლევის ჩასატარებლად და ანგარიშის მოსამზადებლად დაქირავებულმა ორგანიზაციამ „თბილწყალგეომ“, გზმ კვლევა ჩაატარა და ანგარიში მოამზადა 2012 წლის 10 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე პერიოდში<sup>59</sup>, ანუ უკეთეს შემთხვევაში - 21, ხოლო უარეს შემთხვევაში - 15 დღეში (თუ გამოვაკლებთ უქმე დღეებს). ეს მაშინ, როდესაც ასეთი ტიპის ჰესისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის კვლევის ჩატარებას, საშუალოდ, სულ მცირე, ექვსი თვე სჭირდება<sup>60</sup>.

ასეთ მოკლე ვადაში გზმ-ს კვლევის ჩატარება აბსოლუტურად არარეალისტურია და რა თქმა უნდა, ეს ანგარიშის ხარისხზე პირდაპირ აისახა. 2012 წლის 1 ნოემბერს საზოგადოებრივი განხილვისთვის წარმოდგენილი პროექტის გზმ ანგარიში და 2013 წლის 5 თებერვალს გარემოს დაცვის სამინისტროში ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარდგენილი გზმ ანგარიში არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ეს ნიშნავს იმას, რომ კომპანიას არ ჩაუტარებია დამატებითი კვლევები და არ გადაუშუშავებია ის საზოგადოებრივი განხილვების ეტაპზე მიღებული შენიშვნების (იხ. ჩანართი 4 ზემოთ) გათვალისწინებით. მან ისეთივე უხარისხო გზმ ანგარიში წარადგინა ნებართვის მისაღებად, როგორც საზოგადოებრივ განხილვაზე. ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში (2013 წლის 18 მარტის დაკვნა #11) ჩამოთვლილია 31 შენიშვნა (და არაერთი უზუსტობა) გზმ ანგარიშის ფუძემდებლურ საკითხებზე.

ამგვარად, კომპანიამ არ შეასრულა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები; მან არ ჩაატარა ის აუცილებელი კვლევები, რომლებიც გარემოს დაცვის სამინისტროს მისცემდა შესაძლებლობას, მიეღო ინფორმირებული გადაწყვეტილება პროექტზე. თუ გარემოს დაცვის სამინისტრო, უხარისხო და ნაკლოვანი გზმ ანგარიშის საფუძველზე, გასცემდა დადებით დასკვნას, მაშინ თავად სამინისტრო დაარღვევდა კანონმდებლობის მოთხოვნებს. გარემოს დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილების გათვალისწინებით და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის დასაბუთებით<sup>61</sup>, ყაზბეგის მუნიციპალიტეტმაც მიიღო გადაწყვეტილება, უარი ეთქვა შემოთავაზებულ ჰესის პროექტზე.

**კომპანიის არგუმენტი 2:** კომპეტენტურმა ორგანოებმა ნებართვის გაცემაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებები ვადების დარღვევით მიიღეს.

ეს არგუმენტიც არ შეესაბამება სინამდვილეს. მწვანე ალტერნატივამ მიმართა გარემოს დაცვის სამინისტროსა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობას პროექტზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის ვადებთან დაკავშირებული დეტალების დასაზუსტებლად. როგორც აღმოჩნდა, ორივე ორგანომ გადაწყვეტილებები მიიღო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. ქვემოთ მოკვლედა ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღების პროცედურები:

შპს „ყაზბეგი ჰესმა“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიის გადაწყვეტილების მისაღებად (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) 2013 წლის 25 იანვარს მიმართა. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, კანონმდებლობით, ჰქონდა არაუმეტეს 20 დღისა გადაწყვეტილების მისაღებად; ამავე ვადაში უნდა ჩაეტარებინა გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური

<sup>59</sup> პროექტის გზმ ანგარიშის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ შპს „ყაზბეგი ჰესის“ დაკვეთით, გზმ კვლევა ჩაატარა და ანგარიში შეადგინა სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა „თბილწყალგეომ“, „თბილწყალგეოსა“ და შპს „ყაზბეგი ჰესის“ შორის 2012 წლის 10 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. შპს „ყაზბეგი ჰესმა“ გზმ ანგარიშის საზოგადოებრივი განხილვისთვის ხელმისაწვდომობის შესახებ განცხადება გაზეთში „24 საათი“ 2012 წ. 1 ნოემბერს გამოაქვეყნა. ამგვარად, გამოდის, რომ გზმ ანგარიში მომზადდა 10 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე პერიოდში.

<sup>60</sup> Professor Michael McClain, UNESCO-IHE, Institute for Water Education; Environmental flow assessment induction workshop, October 2, 2013, Tbilisi, Georgia.

<sup>61</sup> ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 20 მარტის #265 წერილი, რომელსაც თან ერთვის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის დასკვნა „ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდ. ბროლისწყალზე (ხდის წყალზე) მშენებარე 6 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური „ყაზბეგი ჰესი“-ს მშენებლობის ნებართვის გაცემის II სტადიაზე არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული და ტექნოლოგიური სექციის შეთანხმებაზე მ.პ.ს „ყაზბეგი ჰესი“-სთვის უარის თქმის შესახებ“.

ექსპერტიზა და მიელო გადაწყვეტილება დადებითი დასკვნის გაცემა/გაუცემლობაზე. პროექტისადმი დიდი საზოგადოებრივი ინტერესის გამო, გარემოს დაცვის სამინისტრომ (ვადების დაცვით) მიმართა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობას ადმინისტრაციული წარმოების ვადის სამი თვით გაზრდის თხოვნით - ამის უფლებას მას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონი აძლევდა. 2013 წლის 14 თებერვალს, ანუ ადმინისტრაციული წარმოების მე-20 დღეს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა დააკმაყოფილა გარემოს დაცვის სამინისტროს თხოვნა და მიელო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების ვადის სამი თვით გაზრდის შესახებ<sup>62</sup>; ამის შესახებ განმცხადებელს, შპს „ყაზბეგი ჰესსაც“ ეცნობა. საბოლოოდ, გადაწყვეტილება (ანუ უარი პროექტზე) კომპეტენტურმა ორგანოებმა მიიღეს სამთვლიანი ვადის ამოწურვამდე ბევრად ადრე (გარემოს დაცვის სამინისტრომ - 2013 წლის 18 მარტს და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ - 2013 წლის 21 მარტს).

კომპანია ამტკიცებს, რომ გადაწყვეტილება მიღებული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული წარმოებისთვის გამოყოფილ 20-დღიან ვადაში და თან არა 14 თებერვალს, არამედ არაუგვიანეს 14 თებერვლისა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა ვადის დარღვევით მიიღეს გადაწყვეტილება, მაშინ კომპანიას ჰქონდა ორი გზა, რომელთაგან მან რატომღაც არცერთი გამოიყენა: 1. კანონმდებლობით, თუ კომპეტენტური ორგანო, დადგენილ ვადაში არ/ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, გადაწყვეტილება ავტომატურად ითვლება მიღებულად, განმცხადებლის სასარგებლოდ (ანუ, მაგალითად, ნებართვა ითვლება გაცემულად). თუ კომპეტენტურმა უწყებებმა ვადა მართლაც დაარღვიეს, შპს „ყაზბეგი ჰესს“ შეეძლო ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა გაცემულად და არქიტექტურული პროექტი შეთანხმებულად ჩათვალია (მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადია). ზუსტად ასე მოიქცა კომპანია მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველ სტადიაზე, როდესაც ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა დაარღვია კანონმდებლობით დადგენილი ვადები - კომპანიამ გადაწყვეტილება მიღებულად ჩათვალია<sup>63</sup> და მშენებლობის ნებართვის მოპოვების შემდგომ, მეორე ეტაპზე გადავიდა. 2. შპს „ყაზბეგი ჰესს“ შეეძლო გაესაჩივრებინა, მისი აზრით, უკანონო გადაწყვეტილება სასამართლოში; ამისთვის მას ერთი თვე ჰქონდა.

მაშინ, როდესაც კომპანია კომპეტენტურ ორგანოებს ადანაშაულებს ვადების დარღვევით გადაწყვეტილების მიღებაში, არცერთა „შუამავალმა“ უწყებამ (ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ) არ განია ძალისხმევა და არ გამოიკვლია, ხომ არ იყო ვალდებულებების დროულად შეუსრულებლობა გამომწვეული თავად კომპანიის ბრალეულობით, მის მიერ ვადების დარღვევით. ამის დასადაგენად „შუამავალ“ უწყებებს უბრალოდ უნდა წაეკითხათ ურთიერთგაგების მემორანდუმი და პროექტის გზმ ანგარიში.

ურთიერთგაგების მემორანდუმით, კომპანიას მშენებლობა 2012 წლის 10 ოქტომბერს უნდა დაეწყო; ანუ ამ დროისთვის, კომპანიას უკვე უნდა ჰქონოდა ჰესის დეტალური დიზაინი, ჩატარებული უნდა ჰქონოდა გზმ კვლევა და მოპოვებული უნდა ჰქონოდა სანებართვო დოკუმენტები (მშენებლობის ნებართვა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა). როგორც აღმოჩნდა, კომპანიას 2012 წლის 10 ოქტომბერს არცერთი ეს სამუშაო ჩატარებული არ ჰქონდა, რომ არაფერი ვთქვათ სანებართვო დოკუმენტების მოპოვებაზე. ეს კი, ირკვევა ზემოთ ხსენებული გზმ ანგარიშის შესავალი ნაწილიდან, სადაც აღნიშნულია, რომ გზმ კვლევა სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა „თბილწყალგეომ“, „თბილწყალგეოსა“ და შპს „ყაზბეგი ჰესს“ შორის 2012 წლის 10 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩატარა. ამგვარად, გამოდის, რომ შპს „ყაზბეგი ჰესსმა“ ნებართვის მისაღებად აუცილებელი კვლევების ჩატარება სწორედ იმ დღეს დაიწყო, როდესაც მემორანდუმით, მშენებლობა უნდა დაეწყო.

**კომპანიის არგუმენტი 3:** ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (უარი პროექტის განხორციელებაზე) მოიცავს ისეთ შენიშვნებს, რომლებიც გარემოს დაცვის სამინისტროს უფრო ადრე, საჯარო განხილვების ეტაპზე არ მიუცია კომპანიისთვის.

ეს არგუმენტი საერთოდ არ არის მართებული მოცემული ვითარებისთვის. კანონმდებლობით, პროექტის ინიციატორის მიერ გზმ ანგარიშის საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნება და საჯარო შეხვედრის ორგანიზება ხდება ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე. ამ ეტაპზე, საზოგადოებასთან კონსულტაციის გზით, პროექტის ინიციატორს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს შენიშვნები საზოგადოებისგან, გამოავლინოს ის პრობლემური საკითხები, რომლებიც შესწავლილ უნდა იქნეს გზმ კვლევისას. კანონმდებლობით, გარემოს

<sup>62</sup> ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 14 თებერვლის ბრძანება #32 „ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდინარე ხდის (ბროლის) წყალზე ნ მგვტ. სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „ყაზბეგი ჰესის“ მშენებლობაზე ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ“

<sup>63</sup> მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველ სტადიაზე (მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება) შპს „ყაზბეგი ჰესსმა“ პირველი სტადიის გადაწყვეტილება ავტომატურად მიღებულად (დამტკიცებულად) ჩათვალია, ვინაიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ადმინისტრაციული წარმოების ვადის სამი თვით გაგრძელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევით მიიღო (შპს „ყაზბეგი ჰესის“ 2013 წლის 3 აპრილის წერილი #2403 საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს).

დაცვის სამინისტრო არ არის ვალდებული ამ ეტაპზე შენიშვნები მისცეს პროექტის ინიციატორს, თუმცა, სამინისტრო იჩენს კეთილ ნებას და საზოგადოებრივი კონსულტაციების პერიოდში, თავადაც იხილავს გზმ ანგარიშს და აძლევს კომპანიას თავის შენიშვნებს. ეს ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ პროექტის ინიციატორმა შემდგომ, ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებისას (როდესაც ის ნებართვის მისაღებად მიმართავს კომპეტენტურ ორგანოს) წარადგინოს უკეთესი ხარისხის გზმ ანგარიში (თუ, რა თქმა უნდა, კომპანია მონდომებულია გააუმჯობესოს ანგარიში). ამგვარად, გარემოს დაცვის სამინისტროს შეუძლია, საერთოდ არ მიანოლოს საჯარო განხილვების ეტაპზე შენიშვნები - ეს მას, უბრალოდ, არ მოეთხოვება.

გემოთ მოყვანილი ცხადყოფს, რომ კომპანიის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა არ არის გამონკვეული კომპანიისგან „დამოუკიდებელი მიზეზებით“. ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო (კომპანიას უკვე დარღვეული ჰქონდა მშენებლობის დაწყების ვადასთან დაკავშირებული ვალდებულება), საქართველოს მთავრობას, ურთიერთგაგების მემორანდუმით დადგენილი პირობების შესაბამისად, შეეძლო ვადაზე ადრე შეენწყვიტა მემორანდუმი და მოეთხოვა კომპანიისთვის პროექტის განხორციელების მიზნით სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონების უკან დაბრუნება (მემორანდუმის 5.2 და 5.3 პუნქტები). საქართველოს მთავრობამ / „შუამავალმა“ სახელმწიფო ორგანოებმა, როგორც ჩანს, არ ჩათვალეს საჭიროდ გემოაღნიშნული გარემოებების შესწავლა ან შეისწავლეს, მაგრამ არ მოახდინეს შესაბამისი რეაგირება და კომპანიის მოთხოვნა კვლავ უსიტყვოდ შეასრულეს - ვალდებულებების შესრულების ვადა 2014 წლის 16 აგვისტომდე გადაუვადეს.

### **2.1.7 გზის უკანონო მშენებლობა ბროლისწყლის (ხდისწყლის) ხეობაში და სახელმწიფო ორგანოების უმოქმედობა**

2012 წლის 26 დეკემბერს, მწვანე ალტერნატივამ მიმართა გარემოს დაცვის მინისტრს და სთხოვა მდინარე ბროლისწყლის ხეობაში მიმდინარე გზის მშენებლობის კანონიერების საკითხის შესწავლა. მწვანე ალტერნატივა, ადგილობრივ მოსახლეობაზე დაყრდნობით, გამოთქვამდა ვარაუდს, რომ გზას, ხდისწყალზე დაგეგმილი ახალი ჰესის მშენებლობისთვის, აშენებდა შპს „ყაზბეგი ჰესი“. ვინაიდან კომპანიას არ ჰქონდა იმ დროისთვის მოპოვებული პროექტის განსახორციელებლად აუცილებელი სანებართვო დოკუმენტები (მშენებლობის ნებართვა, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა), ორგანიზაცია ითხოვდა გზის მშენებლობის კანონიერების შესწავლას და კანონდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაბამისად რეაგირებას.

პასუხად, 2013 წლის 23 იანვარს, გარემოს დაცვის სამინისტრომ მწვანე ალტერნატივას აცნობა, რომ სამინისტროს ინსპექტირების სამმართველომ ადგილზე შეისწავლა „გზის მშენებლობის ფაქტობრივი მდგომარეობა“ და გამოავლინა, რომ „მშენებლობის პროცესი დათვალიერება/შესწავლის განხორციელების დროს არ მიმდინარეობდა“. ამგვარად, გარემოს დაცვის სამინისტრომ, მიუხედავად იმისა, რომ მშენებარე გზა ფაქტობრივად არსებობდა, ვერ თუ არ დააფიქსირა კანონდარღვევა, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ უშუალოდ ინსპექტირებისას ვერ შეესწრო გზის მშენებლობის პროცესს.

გემოაღნიშნული წერილით, გარემოს დაცვის სამინისტრომ ასევე აცნობა მწვანე ალტერნატივას, რომ ორგანიზაციის შეტყობინება შესაძლო უკანონო მშენებლობაზე, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობას. ამდენად, 2013 წლის 6 მარტს, მწვანე ალტერნატივამ მიმართა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობას და მოითხოვა გამოკვლევის შედეგებისა და მუნიციპალიტეტში გზის მშენებლობასთან დაკავშირებით დაცული საჯარო ინფორმაციის მოწოდება. ორგანიზაციამ პასუხად (2013 წლის 11 მარტი) მიიღო მხოლოდ და მხოლოდ მუნიციპალიტეტში დაცული დოკუმენტების ასლები, რომლებიდანაც ირკვევა შემდეგი:

2011 წლის 29 აგვისტოს კომპანია „ფერიმ“ მიმართა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს გოჩა მალანას და ითხოვა „ადგილზე არსებული სატრაქტორო გზის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების ნებართვა. ამ მოთხოვნას კომპანია შემდეგნაირად ხსნის: ის ახსენებს საკრებულოს თავმჯდომარეს საპრივატიზებო პირობას, რომ კომპანიას ხელშეკრულებით დაკისრებული აქვს არსებული, პრივატიზებული ჰესის სიმძლავრის გაზრდა 2.5 მგვტ-მდე. კომპანია განმარტავს, რომ ამ პირობიდან გამომდინარე, მას ესაჭიროება არსებული სატრაქტორო გზის რეაბილიტაცია, „რომელიც მომავალში გამოყენებული იქნება ახალი ჰიდროელექტროსადგურის სათავე ნაგებობის მშენებლობის პროცესში“. ამ განმარტებაში საგულისხმოა, რომ კომპანია გზის რეაბილიტაციის აუცილებლობას ხსნის ასევე ახალი ჰესის მშენებლობის საჭიროებით და ეს იმ დროს, როდესაც ახალი ჰესის მშენებლობის ვალდებულება საპრივატიზაციო ხელშეკრულებაში გაჩნდა მხოლოდ და მხოლოდ 2012 წლის 5 ივნისს (თითქმის ერთი წლის შემდეგ), რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ახალი ჰესის მშენებლობისთვის კომპანიას (შპს „ყაზბეგი ჰესი“) დღემდე არ აქვს მოპოვებული სანებართვო დოკუმენტები.

გემოაღნიშნულზე კიდევ უფრო საინტერესოა ის, თუ რა რეაგირება მოახდინა ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა კომპანიის მოთხოვნაზე. კომპანიის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, 2011 წლის 21



სექტემბერს მუნიციპალიტეტმა გასცა მშენებლობის ნებართვა გზის მშენებლობაზე, ოღონდ არა ხდისწყალზე უკვე არსებული ჰესის და მომავალში ასაშენებელი ჰესის საჭიროებისთვის (როგორც ამას კომპანია ითხოვდა), არამედ აბსოლუტურად სხვა ჰესის - დარიალის ხეობაში მშენებარე 109 მგვტ სიმძლავრის დარიალის ჰესის საჭიროებისთვის<sup>64</sup>.

გემოაღნიშნული უდავოდ კანონდარღვევაა და სამართალდამცავი ორგანოების გამოკვლევის საგანი უნდა გახდეს.

## **2.2 დარიალის ჰესის პროექტი მდინარე თერგზე**

დარიალის ჰესის პროექტი ითვალისწინებს მდინარე თერგზე, დარიალის ხეობაში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, საქართველო-რუსეთის საზღვართან ახლოს, 109 მეგავატი დადგმული სიმძლავრის დერივაციული ტიპის ჰესის მშენებლობას. ჰესი ენერგოსისტემას მიუერთდება დარიალის 110 კვ-იანი ხაზით, რომელიც აერთებს საქართველოსა და რუსეთის ენერგო-სისტემებს. პროექტს, როგორც პირველ თავში აღინიშნა, ახორციელებს კომპანია „დარიალი ენერჯი“. პროექტი ხორციელდება საქართველოს მთავრობასა და „დარიალი ენერჯის“ შორის 2011 წლის 19 მაისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე<sup>65</sup>.

პროექტმა დაიმსახურა საზოგადოების დიდი კრიტიკა მისი დიზაინის გამო<sup>66</sup>. ქვემოთ წარმოდგენილ ქვეთავებში განხილულია ის კანონდარღვევები, რომლებიც თანს სდევდა პროექტს მისი დაგეგმვისას და განხორციელებისას.

### **2.2.1 ჰესის სიმძლავრის გაზრდა 50-დან 109 მეგავატამდე და ამასთან დაკავშირებული საექვო გარემოებები**

როგორც ხდისწყალზე დაგეგმილი ჰესის შემთხვევის აღწერისას აღინიშნა, ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის N46 ბრძანებით<sup>67</sup>, დამტკიცებულია საქართველოში განახლებადი ენერჯის პოტენციური წყაროების ნუსხა. ნუსხაში მუდმივად შედის ცვლილებები - ნუსხას ან ემატება ახალი ჰესები, ან აკლდება, ან იცვლება ჰესების სიმძლავრე. ქვემოთ ყურადღებას გავამახვილებთ ამ ნუსხაში დარიალის ჰესთან დაკავშირებით შეტანილ ცვლილებებზე.

2008 წლის 23 აპრილს დამტკიცებულ ნუსხაში, დარიალი ჰესის დადგმული სიმძლავრე განსაზღვრულია 50 მეგავატით. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 17 თებერვლის #10 ბრძანებით, ჰესის სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 93 მეგავატამდე გაიზარდა; ეს ცვლილება დასაბუთდა „მდინარის ჰიდროპოტენციალის სქემის ოპტიმიზაციით“. რამოდენიმე თვის შემდეგ (2010 წლის 12 ოქტომბერს) დარიალის ჰესის სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 99.9 მეგავატამდე გაიზარდა. ამ ცვლილებას საფუძვლად დაედო ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკული დეპარტამენტის უფროსის 2010 წლის 2 სექტემბრის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აღნიშნულია შემდეგი (იხ. ჩანართი 6):

ჩანართი 6. ამონაკრები ენერგეტიკის მინისტრის, ალექსანდრე ხეთაგურისათვის წარდგენილი ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკული დეპარტამენტის უფროსის ვახტანგ კიკვაძის 2010 წლის 2 სექტემბრის #4098 მოხსენებითი ბარათიდან

„პოტენციური ჰესების განთავსებასთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და მისი სააგენტოების მიერ მუდმივად გამოითქმებოდა შენიშვნები, კერძოდ პოტენციური ჰესების და სხვადასხვა დაცული ტერიტორიების, ნაკრძალების, ეროვნული პარკების, მინერალური წყლების, სხვადასხვა სახის საბადოების ტერიტორიების ურთიერთგადაკვეთის შესახებ, რაც გვიქმნიდა წინააღმდეგობას კოორდინაციის დამტკიცებასა და ინვესტირებას ურთიერთობებში...“

<sup>64</sup> ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 21 სექტემბრის ბრძანება #177 „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დარიალის ხეობაში „დარიალჰესის“ გზის მშენებლობისათვის წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“; ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2011 წლის 21 სექტემბერს გაცემული მშენებლობის ნებართვა #23.

<sup>65</sup> იხ. ხელშეკრულება და მასში შეტანილი ცვლილებები ენერგეტიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე: <http://www.energy.gov.ge/4421>

<sup>66</sup> იხ. მწვანე ალტერნატივა, 2012 წ. ივლისი, „როგორ კლავენ თერგს - საინფორმაციო ფურცელი დარიალის ჰიდროელექტროსადგურის შესახებ“, ხელმისაწვდომია: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

<sup>67</sup> გამოცემულია საქართველოს მთავრობის 18.04.08 N107 დადგენილების საფუძველზე.

ჩვენი თხოვნით შპს „გროს-ენერჯის“ მიერ გადაისინჯა ენერგეტიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული რიგი პრობლემური ჰესები, შესაძლებლობის ფარგლებში გაკორექტირდა სქემები და რიგ ჰესებზე მოიხსნა წარმოქმნილი პრობლემები. კორექტირებული ჰესებიდან ნაწილმა განიცადა სქემების ცვლილება სიმძლავრის შეუცვლელად, რამდენიმემ განიცადა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების ცვლილება და შესაბამისად გამოიწვია სიმძლავრის ცვლილება...

დარიალი - გვირაბის ნაწილი გადიოდა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე და ჰესის ნაწილი კვეთდა მყარი მასალის სალიცენზიო ობიექტს, სქემა შეიცვალა და სიმძლავრე გაიზარდა 93 მგვტ-დან 99.9 მგვტ-მდე“.

კვლავ რამოდენიმე თვის შემდეგ, 2011 წლის 3 თებერვალს, ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკული დეპარტამენტის უფროსმა ისევ მიმართა ენერგეტიკის მინისტრს მოხსენებითი ბარათით. ამჯერად ის ასაბუთებს დარიალის ჰესის ნუსხიდან ამოღების საჭიროებას და აღნიშნავს შემდეგს (იხ. ჩანართი 7):

ჩანართი 7. ამონაკრები ენერგეტიკის მინისტრის, ალექსანდრე ხეთაგურისათვის წარდგენილი ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკული დეპარტამენტის უფროსის ვახტანგ კიკვაძის 2011 წლის 3 თებერვლის #334 მოხსენებითი ბარათიდან

„აღნიშნული პოტენციური ჰესების განთავსებასთან დაკავშირებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და მისი სააგენტოების მიერ გამოითქვა შენიშვნები, კერძოდ პოტენციური ჰესების და სხვადასხვა დაცული ტერიტორიების, ნაკრძალების, ეროვნული პარკების, მინერალური წყლების საბადოების ტერიტორიების და სხვადასხვა სახის ინჟინრული ნაგებობებისა და კომუნიკაციების ურთიერთგადაკვეთის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ შენიშვნები ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული და შესაბამისად, შეიცვალა ჰესების სქემები და პარამეტრები, კვლავ იქმნება წინააღმდეგობა პოტენციური ჰესების განთავსების X,Y კოორდინატების დამტკიცებასთან დაკავშირებით და ინვესტორებთან ურთიერთობებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მდინარე თერგის აუზის ჰიდროპოტენციალის მაქსიმალურად ათვისების და გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, სხენებული პრობლემების შესაძლებლობის ფარგლებში მოგვარების, ჰესების სქემებისა და პარამეტრების შემდგომი დაზუსტების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამოღებული იქნას თქვენი ბრძანებით დამტკიცებული პოტენციური ჰესების ნუსხიდან დარიალის ხეობის ჰესები: თერგი, დარიალი, ამალიჰესი, ჩხერიჰესი, ჯუთაჰესი, სნოსწყალი, კობიჰესი, თრუსოჰესი და ცლოჰესი.“

აღნიშნულის მიუხედავად, 2011 წლის 11 მარტს გამოიცა საქართველოს მთავრობის #549 განკარგულება, რომლითაც მონონებულ იქნა „დარიალი ენერჯის“ წარდგენილი განაცხადი დარიალი ჰესის მშენებლობის შესახებ. ამავე განკარგულებით ენერგეტიკის სამინისტროს დაევალა სამი თვის ვადაში ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტის წარდგენა. 2011 წლის 19 მაისს, საქართველოს მთავრობას (მთავრობის სახელით, ხელს აწერს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური), შპს „დარიალი ენერჯის“, შპს „ენერგო ტრანსს“ და შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დაიდო ხელშეკრულება დარიალის ჰესის პროექტის განხორციელებაზე<sup>68</sup>. ამ ხელშეკრულებაში დარიალის ჰესის დადგმული სიმძლავრე გაზრდილია 109 მეგავატამდე. ზემოთ აღწერილ ვითარებასთან დაკავშირებით, ყურადსაღებია ორი მნიშვნელოვანი გარემოება:

1. ხელშეკრულებაში არ არის გაცემებული დათქმა იმის თაობაზე, რომ საპროექტო ტერიტორია არ უნდა მოიცავდეს ყაზბეგის ეროვნული პარკს. ეს მაშინ, როდესაც ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური არაერთხელ იქნა ინფორმირებული დაგეგმილი დარიალის ჰესისა და ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიების ურთიერთგადაკვეთის შესახებ. მიუხედავად ამისა, მინისტრმა გადაამეტა თავის უფლებამოსილებას და ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელიც გულისხმობდა, კანონდარღვევით, დაცული ტერიტორიის ფარგლებში ჰესის მშენებლობას.

2. რატომ გაიზარდა დაგეგმილი ჰესის სიმძლავრე 50-დან 109 მგვტ-მდე? მწვანე ალტერნატივასთან ინტერვიუებში ენერგეტიკოსები გამოთქვამენ სერიოზულ ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რამდენად შესაძლებელია მდინარე თერგზე 109 მგვტ-ის გამოუმუშავება. ამ საკითხზე მსჯელობა ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, რთულია, თუმცა, კითხვა მაინც კითხვად რჩება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ 1985 წლის შემდეგ არ არსებობს მდინარე თერგზე ჰიდროლოგიური დაკვირვების მონაცემები. საგულისხმოა ასევე, რომ ჟურნალ „ლიბერალთან“ ინტერვიუში „დარიალი ენერჯის“ დირექტორმა ზურაბ ალაჯიძემ განაცხადა, 109 მეგავატამდე გაზრდა სწორედ ენერგეტიკის სამინისტროს მოთხოვნით მოხდა, კომპანიის სურვილი კი 70 მგვტ სიმძლავრის ჰესის აშენება იყო.

ფაქტია, რომ სიმძლავრის გაზრდას ორი შედეგი მოჰყვა: (1) „დარიალი ენერჯის“ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად საერთოდ არ მოეთხოვა საბანკო გარანტიის წარდგენა. იმ დროისთვის მოქმედი კანონმდებლობით, 100 მგვტ-მდე სიმძლავრის ჰესის მშენებლობის შემთხვევაში, კომპანია ვალდებული იყო წარედგინა საბანკო გარანტია - 170 000 აშშ დოლარი ყოველ მეგავატზე. ამრიგად,

<sup>68</sup> საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად (17.05.2012), ხელშეკრულება შესრულებულია მხოლოდ ინგლისურ ენაზე და მისი ქართულენოვანი ასლი სამინისტროს არ მოეპოვება.

50 მგვტ-ის შემთხვევაში, „დარიალი ენერჯის“ მოეთხოვებოდა 8 500 000 აშშ დოლარის ოდენობის, 70 მგვტ-ის შემთხვევაში - 11 900 000 აშშ დოლარის ოდენობის, ხოლო 99,9 მგვტ-ის შემთხვევაში -16 983 000 აშშ დოლარის ოდენობის საბანკო გარანტიის წარდგენა. თუ ჰესის დაგეგმილი სიმძლავრე 100 მგვტ-ს გადააჭარბებდა, კომპანიას აღარ მოეთხოვებოდა საბანკო გარანტიის წარდგენა. ამასთან, მართალია, ხელშეკრულება ითვალისწინებს გარკვეულ საჭარბო სანქციებს კომპანიის მიერ ნაკისრი ძირითადი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევისთვის (ჭარბების მაქსიმალური ოდენობა შეზღუდულია 600 ათასი აშშ დოლარით), მაგრამ თავად ეს ვალდებულება არაა უზრუნველყოფილი საბანკო გარანტიით, ან სხვა რაიმე სახის უზრუნველყოფით. (2) ორჯერ და მეტად ჰესის სიმძლავრის გაზრდის ხარჯზე ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა პროექტის ზეგავლენა ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე.

## 2.2.2 დარღვევები პროექტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში

2011 წლის 17 ნოემბერს შპს „დარიალი ენერჯიმ“ გარემოს დაცვის სამინისტროში, პროექტის განსახორციელებლად აუცილებელი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად, დარიალის ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ (ბსგმ) ანგარიში წარადგინა. დასკვნის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი მნიშვნელოვანი დარღვევებით წარიმართა; დასკვნა გაიცა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნთა და ასევე, საზოგადოების მონაწილეობის პროცედურული ნორმების დარღვევით. ქვემოთ მოკლედ აღწერილია ამ დარღვევათა ხასიათი.

### ჰესის მშენებლობა დასულ ტერიტორიაზე

„დარიალი ენერჯის“ მიერ ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილ ბსგმ ანგარიშში ნათლად იყო აღნიშნული, რომ „ჰესის მუშა პროექტის მიხედვით სადერივაციო მილსადენის განთავსების დერეფანი, სალექარი და სადერივაციო გვირაბის შესასვლელი პორტალი განთავსებული იქნება ყაზბეგის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის ტერიტორიაზე. აღნიშნული კომუნიკაციების და მისასვლელი გზების მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი იქნება 2.64 ჰა“.

იმდენად, რამდენადაც საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს დასული ტერიტორიის, კერძოდ კი, ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, ჰესის მშენებლობას<sup>69</sup>, „დარიალი ენერჯი“, ფაქტიურად, ითხოვდა ნებართვას კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, იმის ნაცვლად, რომ დაეწუნებინა პროექტი, გარემოს დაცვის სამინისტრომ უხეშად დაარღვია კანონის მოთხოვნა და გასცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა დარიალი ჰესის პროექტზე.

### ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურების დარღვევა

2011 წლის 21 სექტემბერს მწვანე ალტერნატივამ გარემოს დაცვის სამინისტროს მიმართა თხოვნით, ორგანიზაცია ჩაერთო დარიალის ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის თაობაზე ადმინისტრაციულ წარმობაში. ორგანიზაცია ითხოვდა კომპანიის მიერ სამინისტროში ბსგმ ანგარიშის წარდგენისთანავე, მისი ასლის გადმოცემას და ადმინისტრაციული წარმობის ვადების შეტყობინებას. პასუხად, მწვანე ალტერნატივამ მიიღო დაპირება, რომ სამინისტრო ჩართავდა ორგანიზაციას ადმინისტრაციულ წარმობაში<sup>70</sup>.

მიუხედავად დაპირებისა, სამინისტრომ ისე მიიღო დარიალის ჰესის პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება, რომ არ ჩართო მწვანე ალტერნატივა ამ გადაწყვეტილების მიღებაში; ამით, სამინისტრომ დაარღვია საქართველოს კანონმდებლობის არაერთი მოთხოვნა.

2011 წლის 28 ნოემბერს მწვანე ალტერნატივამ მიიღო გარემოს დაცვის სამინისტროს 2011 წლის 18 ნოემბრით დათარიღებული წერილი (ანუ გამოგზავნიდან 10 დღის შემდეგ!), რომლითაც ორგანიზაციას ეცნობა, რომ გარემოს დაცვის სამინისტროში ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად წარდგენილია შპს „დარიალი ენერჯის“ 110 მგვტ სიმძლავრის დარიალის ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. სამინისტრომ ორგანიზაციას არ მისცა ანგარიშის ასლი, მაგრამ მიუთითა ვებ-გვერდი, სადაც განთავსებული იყო ანგარიში. გარდა ამისა, სამინისტრომ მწვანე ალტერნატივას აცნობა ადმინისტრაციული წარმობის დაწყების ვადა (2011 წლის 17 ნოემბერი), მაგრამ არ მიუთითა დასრულების ვადა. ამ შეტყობინების მიღების დღესვე, მწვანე ალტერნატივა გაეცნო მითითებულ ინტერნეტ-მისამართზე ([www.aarhus.ge](http://www.aarhus.ge)) დარიალის ჰესის პროექტის გმ ანგარიშს. სამინისტროს მიერ მითითებულ ვებ-გვერდზე ასევე განთავსებული იყო ინფორმაცია

<sup>69</sup> „დასული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი და მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>70</sup> გარემოს დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ეკატერინე ბენდელიანის 2011 წლის 27 სექტემბერს №132 წერილით ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“

ადმინისტრაციული წარმოების ვადების შესახებ. ამ წყაროს თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება 2011 წლის 17 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე უნდა გაგრძელდებოდა.

განსახილველი დოკუმენტის დიდი მოცულობის და შეზღუდული ვადების მიუხედავად, მწვანე ალტერნატივამ, პრაქტიკულად, ორ დღეში მოამზადა თავისი შენიშვნები და კომენტარები ანგარიშზე და 2011 წლის 1 დეკემბერს წარუდგინა გარემოს დაცვის სამინისტროს (ადმინისტრაციული წარმოების დასრულების გამოცხადებული ვადის ბოლო დღეს), თხოვნით, გაეთვალისწინებინა ორგანიზაციის შენიშვნები გადაწყვეტილების მიღების პროცესში. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, გარემოს დაცვის სამინისტრომ გადაწყვეტილება დადებითი დასკვნის გაცემაზე 2011 წლის 28 ნოემბერს მიიღო - ანუ გამოცხადებულ ვადაზე (2 დეკემბერი) ადრე და თანაც იმ დღეს, როდესაც მწვანე ალტერნატივას ჩაბარდა შეტყობინება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების და განსახილველი დოკუმენტის ხელმისაწვდომობის შესახებ. ამგვარად, გარემოს დაცვის სამინისტრომ პროექტზე გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, ორჰუსის კონვენციის არაერთი მოთხოვნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის შესახებ.

### **2.2.3 საქართველოს პარლამენტი - კანონდარღვევის მონაწილე**

გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ დასრულ ტერიტორიაზე დარიალის ჰესის მშენებლობის დაშვებით ჩადენილი აშკარა უკანონობის „გამოსასწორებლად“, საქართველოს პარლამენტმა მოგვიანებით კანონი შეცვლა და ამით, თავად გახდა კანონდარღვევის მონაწილე. მოვლენები კი, ასე განვითარდა:

2012 წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტის არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ბიუროს ვებ-გვერდზე განთავსდა ინფორმაცია, რომ საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის ინიციატივით წარდგენილ იქნა კანონპროექტი „დასული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლითაც ყაზბეგის ეროვნული პარკის ფართობი 8.7737 ჰექტარით მცირდებოდა. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, კანონპროექტის მიღების მიზები იყო: „ყაზბეგის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე ჰიდროენერგეტიკული პროექტის განხორციელების ხელშეწყობის აუცილებლობა“; ხოლო მიზანი იყო: „მშენებარე ჰიდრო-ელექტროსადგურისთვის გამოყოფილი იმ ფართობებისათვის დასული ტერიტორიის სტატუსის მოხსნა, რომლებიც ხვდებიან ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე“.

კანონპროექტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ის ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ არაერთ მოთხოვნას; კერძოდ: (1) დასული ტერიტორიის (ეროვნული პარკის) ტერიტორიული შემცირება, კანონით, შესაძლებელია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ განსაკუთრებულ შემთხვევებში; ასეთი შემთხვევების რიგს არ მიეკუთვნებოდა ჰესის მშენებლობა. ამდენად, ჰიდროენერგეტიკული პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ეროვნული პარკის ტერიტორიული შემცირება, უკანონო იყო; (2) კანონმდებლობა, ასევე, ნათლად განსაზღვრავს იმ ორგანოს (საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს), რომელიც უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს წინადადება დასული ტერიტორიის ტერიტორიული შემცირების შესახებ. განსახილველი კანონპროექტის განმარტებითი ბარათიდან ცხადი იყო, რომ კანონპროექტის ავტორი არა გარემოს დაცვის, არამედ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო იყო. ამდენად, ამ შემთხვევაშიც, კვლავ ნათელი იყო, რომ დაირღვა კანონმდებლობის მოთხოვნა; (3) კანონპროექტის განმარტებითი ბარათიდან ცხადი იყო, რომ კანონპროექტის შემუშავებისას დარღვეულ იქნა, როგორც „დასული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის, ისე ორჰუსის კონვენციის მოთხოვნები - არ მიეცა რა საზოგადოების წარმომადგენლებს კანონპროექტის შემუშავების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა.

გარდა აღნიშნულისა, კანონპროექტი ითვალისწინებდა ჰესის საჭიროებისთვის ყაზბეგის ეროვნულ პარკში შემავალი 8.7737 ჰა ფართობის ტერიტორიისთვის დასული ტერიტორიის სტატუსის მოხსნას; მაშინ, როდესაც, გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ დარიალის ჰესის გზმ ანგარიშში ეს ფართობი ბევრად ნაკლები (2.64 ჰა) იყო. ამდენად, გაუგებარი იყო, რა გათვლებს ემყარებოდა კანონპროექტში მოცემული ფართობი და რა მიზნით იყო შეთავაზებული დანარჩენი 6.1337 ჰა ტერიტორიისთვის დასული ტერიტორიის სტატუსის მოხსნა.

გემოთ აღწერილი გარემოებების შესახებ, მწვანე ალტერნატივამ, კანონპროექტის პარლამენტში განხილვის ეტაპზე, აცნობა საქართველოს პარლამენტის, პრაქტიკულად, ყველა ერთეულს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს, საპარლამენტო კომიტეტებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებსა და მათ მოადგილეებს. ორგანიზაცია ითხოვდა, რომ საქართველოს პარლამენტს შეეჩერებინა კანონპროექტის განხილვა; ასევე, შეესწავლა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ჩადენილი უკანონო ქმედება და გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები.

სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტის არცერთი ერთეული არ გამოეხმაურა ორგანიზაციის მიმართვას და არ შეაჩერა კანონმდებლობის უხეში დარღვევით წარმართული პროცესი; 2012 წლის 13 მარტს პარლამენტმა მიიღო ცვლილება, რომლითაც ყაზბეგის ეროვნული პარკის ფარგლებიდან ამოღებულ იქნა ტერიტორია. უფრო მეტიც, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, პარლამენტმა ნაცვლად დარიალის ჰესის მშენებლობისათვის საჭირო 2.64 ჰექტარისა, ეროვნული პარკიდან ამოიღო 20.3633 ჰა ფართობის ტერიტორია - ბევრად მეტი ვიდრე ეს კანონპროექტით თავდაპირველად იყო გათვალისწინებული (8.7737 ჰა).

კანონის მიღების შემდეგ მწვანე ალტერნატივამ კიდევ მიმართა პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს მიღებული ცვლილებების დასაბუთების და გარემოს დაცვის სამინისტროს უკანონო ქმედებების გამოკვლევის მოთხოვნით, მაგრამ კომიტეტმა თხოვნა უპასუხოდ დატოვა.

#### **2.2.4 უკანონო მშენებლობა და სახელმწიფო ორგანოების უმოქმედობა (დარიალის და ლარსის ჰესები)**

2011 წლის 12 სექტემბერს მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ დარიალის ჰესის პროექტის განხორციელება დაიწყო. მშენებლობის დაწყება, მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბრისას, თავად „დარიალი ენერჯის“ გენერალურმა დირექტორმა დაადასტურა. იმდენად, რამდენადაც კომპანიას მშენებლობის დასაწყებად აუცილებელი სანებართვო დოკუმენტები არ ჰქონდა მოპოვებული, ინტერნეტ-გამოცემის ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მწვანე ალტერნატივამ გარემოს დაცვის სამინისტროს მიმართა<sup>71</sup> და მოითხოვა საპროექტო ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოების კანონიერების შესწავლა, კანონდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში კი, შესაბამისი ზომების მიღება. მოთხოვნის პასუხად, მწვანე ალტერნატივამ მიიღო დაპირება, რომ მიმდინარე სამუშაოების კანონიერებასთან დაკავშირებით ინფორმაციას ორგანიზაცია ინსპექტირების განხორციელების შემდგომ მიიღებდა<sup>72</sup>. დაპირებიდან თითქმის თვენახევრის შემდეგ, მწვანე ალტერნატივამ განმეორებით მიმართა გარემოს დაცვის სამინისტროს და ითხოვა ინფორმაცია შეტყობინების საპასუხოდ გატარებული ზომების შესახებ. როგორც სამინისტროს პასუხიდან გაირკვა, ამ პერიოდში „დარიალი ენერჯიმ“ უკვე მიიღო პროექტის განსახორციელებლად აუცილებელი ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა. ამგვარად, გარემოს დაცვის სამინისტრომ არ მოახდინა არანაირი რეაგირება კანონდარღვევის ფაქტის შეტყობინებაზე; უფრო მეტიც, სასწრაფოდ გასცა სანებართვო დოკუმენტი (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) და ამით შეეცადა უკანონო მშენებლობა კანონიერ ფარგლებში მოექცია.

გარემოს დაცვის სამინისტროს გარდა, მწვანე ალტერნატივამ უკანონო მშენებლობის შესახებ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსაც შეატყობინა (ვინაიდან იმდროინდელი მოწყობით, ამ სამინისტროშიც არსებობდა გარემოსდაცვითი მაკონტროლებელი ერთეული) და ამ სამინისტროსაც სთხოვა მიმდინარე მშენებლობის კანონიერების შესწავლა<sup>73</sup>. შეტყობინებიდან ერთი თვის შემდეგ ორგანიზაციამ მიიღო პასუხი, რომ წერილი, შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით, გადაეგზავნა სამინისტროს (ბუნებრივი რესურსების სააგენტოს) შესაბამისი რეგონულ ერთეულს. ამ პასუხიდან კიდევ ერთი თვის შემდეგ, ისევე როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს შემთხვევაში, მწვანე ალტერნატივამ განმეორებით მოითხოვა გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. საბოლოოდ, საწყისი შეტყობინებიდან ორი თვის შემდეგ, ორგანიზაციამ მიიღო ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პირველი მოადგილის მარიამ ვალიშვილის პასუხი<sup>74</sup>. როგორც აღმოჩნდა, ისევე როგორც გარემოს დაცვის სამინისტრომ, არც ამ უწყებამ მოახდინა რეაგირება შეტყობინებაზე. ამ უწყებამაც განმცხადებელს აცნობა, რომ კომპანია ამ დროისთვის უკვე ფლობდა ყველა საჭირო სანებართვო დოკუმენტს.

გარემოს დაცვის სამინისტროც და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროც ვალდებული იყვნენ შეეჩერებინათ უკანონო მშენებლობა და მოეხდინათ რეაგირება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ან/და სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად. მათ კი, პირიქით, ხელი შეუწყვეს „დარიალი ენერჯის“ უკანონო ქმედებას.

დარიალის ჰესის მსგავსად, **ლარსის ჰესის** მშენებლობაც უკანონოდ, შპს ენერჯის მიერ სანებართვო დოკუმენტების (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, მშენებლობის ნებართვა) მოპოვებამდე დაიწყო. ისევე როგორც დარიალის ჰესის შემთხვევაში, 2011 წლის ოქტომბერში მწვანე ალტერნატივამ მიმართა ორივე

<sup>71</sup> მწვანე ალტერნატივას 2011 წ. 15 სექტემბრის წერილი №04/06-38 გარემოს დაცვის მინისტრს გოგა ხაჩიძეს

<sup>72</sup> გარემოს დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ეკატერინე ბენდელიანი 2011 წ. 27 სექტემბრის №133 წერილი.

<sup>73</sup> მწვანე ალტერნატივას 2011 წ. 15 სექტემბრის წერილი №04/06-38 საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის პირველ მოადგილეს ლევან მხვიძეს

<sup>74</sup> ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პირველი მოადგილის მარიამ ვალიშვილის 16 დეკემბრის №02/5447 წერილი მწვანე ალტერნატივას

უნყებას - გარემოს დაცვის სამინისტროს და ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს - თხოვნით, შეესწავლათ ლარსის ჰესის საპროექტო ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოების კანონიერება. ორივე უწყებამ ორგანიზაციას ე.წ. „შუალედური“ პასუხი გამოუგზავნა და საბოლოოდ, საკითხი საერთოდ დაივიწყა.

### 2.2.5 სასამართლო პროცესი და ახალაღმოჩენილი კანონდარღვევები

როგორც ზემოთ აღინიშნა, გარემოს დაცვის სამინისტრომ არ მისცა მწვანე ალტერნატივას შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო დარიალის ჰესის პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამით სამინისტრომ დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და «გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ» ორპუსის კონვენციის მოთხოვნები. ამდენად, 2012 წლის 30 იანვარს მწვანე ალტერნატივამ შეიტანა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა მინისტრის იმ ბრძანების გაუქმება, რომლითაც დამტკიცდა კანონდარღვევით მიღებული გადაწყვეტილება.

ამასთან, 2012 წლის თებერვალში გაირკვა, რომ გასაჩივრებული ბრძანებით გარემოს დაცვის სამინისტრომ დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გასცა (შეცვლილ) პროექტზე, რომელიც ითვალისწინებდა ჰესის მშენებლობისათვის ყაზბეგის ეროვნული პარკის ფარგლებში არსებული ტერიტორიის გამოყენებას. ამის გათვალისწინებით, მწვანე ალტერნატივამ 2013 წლის 1 მარტს სასამართლოს დაზუსტებული სარჩელი წარუდგინა და დამატებით მოითხოვა გასაჩივრებული ბრძანების „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონთან, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან და „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის გამოკვლევა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ (2012 წლის 31 მაისი), ისევე როგორც სააპელაციო სასამართლომ (2012 წლის 19 დეკემბერი) მწვანე ალტერნატივას სარჩელი არ დააკმაყოფილა. უზენაესმა სასამართლომ კი მწვანე ალტერნატივას საკასაციო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია (2013 წლის 18 აპრილი)<sup>75</sup>.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასამართლო პროცესისას გამოვლინდა ერთი ყურადსაღები გარემოება, რომელმაც ერთგვარად შეავსო სახელმწიფო უწყებების მიერ „დარიალი ენერჯისა“ და მისი პროექტის - დარიალის ჰესის - სასარგებლოდ ჩადენილი სამართალდარღვევების სია. კერძოდ:

2012 წლის 6 დეკემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლოში მწვანე ალტერნატივას სააპელაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით გამართულ სასამართლო სხდომაზე დავითხულმა გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა, ნიკოლოზ ჭახნაკიამ წარმოადგინა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის #2247 განკარგულება „ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის „დარიალი ჰესის“ მშენებლობისათვის საჭირო 87737 კვ.მ მიწის ფართობის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოყოფის თაობაზე“. აღსანიშნავია, რომ განკარგულება არ იყო ოფიციალურად გამოქვეყნებული და მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცესი უკვე ერთი წელი მიმდინარეობდა, არც გარემოს დაცვის სამინისტროს და არც „დარიალი ენერჯის“ ეს დოკუმენტი პროცესზე არ წარმოუდგენია.

ნიკოლოზ ჭახნაკიას განმარტებით, უკანონობის გამო (იგულისხმება ჰესის მშენებლობა დაცულ ტერიტორიაზე), ის არ აპირებდა კომპანიის მიერ წარდგენილი გზმ ანგარიშის ადმინისტრაციულ წარმოებაში მიღებას, თუმცა გადაიფიქრა მას შემდეგ, რაც 2011 წლის 18 ნოემბერს კომპანიის წარმომადგენლებმა მას გადასცეს მთავრობის ზემოაღნიშნული 2011 წლის 18 ნოემბრის #2247 განკარგულება. აქ, საინტერესოა ასევე ის, რომ განკარგულება (რომელიც ერთი წლის მერეც არ გამოქვეყნდა), მთავრობის მიერ მისი მიღების დღესვე, ნაბეჭდი სახით, აღმოჩნდა საქმიანობით დაინტერესებული კომპანიის ხელში.

რაც შეეხება განკარგულების შინაარსს: იხელმძღვანელა რა „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული წესის 27 სეკუნდა მუხლის პირველი პუნქტით, მთავრობამ თავისი განკარგულებით, მშენებლობის ნებართვის აღებამდე, სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში, სს „დარიალი ენერჯის“ გამოყოფა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დარიალის ჰესის მშენებლობისათვის საჭირო 87737 კვ.მ მიწის ფართობი. ეს ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული განკარგულების მიღებით, გარდა იმისა, რომ პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას (რადგან საკითხის გადაწყვეტა საქართველოს პარლამენტის კომპეტენციაა), მან სრულიად უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, ვინაიდან ეროვნული პარკის ტერიტორიის სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემა, დაუშვებელია.

<sup>75</sup> მწვანე ალტერნატივას სარჩელი, ასევე სასამართლოების გადაწყვეტილებები და სასამართლო წარმოების სრული მასალა, მათ შორის, მონმეთა დავითხვის ოქმები, ხელმისაწვდომია მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდზე: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

სასამართლო სხდომაზე ნიკოლოზ ჭახნაკიას მიერ განკარგულების წარდგენის შემდეგ „დარიალი ენერჯიმ“, თავის მხრივ, წარმოადგინა მთავრობის განკარგულების საფუძველზე სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულება სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის შესახებ.

მწვანე ალტერნატივამ საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან გამოითხოვა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის #2247 განკარგულების მიღებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ „დარიალი ენერჯისთვის“ უკანონო უფლებამოსილების მინიჭების ინიციატივით (ყოველგვარი დასაბუთების გარეშე) საქართველოს მთავრობას სწორედ გარემოს დაცვის სამინისტრომ მიმართა. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური კი, განკარგულების კანონთან შეუსაბამობის პრობლემებზე, ინფორმირებული იყო საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის დასკვნის მეშვეობით.

როგორც ჩანს, გარემოს დაცვის სამინისტროში ვერავინ გაბედა ხელი მოეწერა აშკარა კანონდარღვევაზე - იგულისხმება დაცულ ტერიტორიაზე ჰესის მშენებლობა. ამდენად, ეს საკუთარ თავზე ზემდგომმა ორგანომ - მთავრობამ/პრემიერ-მინისტრმა აიღო. თუმცა, ხვდებოდნენ რა, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სამართლებრივად არ იყო სწორი, ენერგეტიკის სამინისტროს ინიცირებით, 2012 წლის 13 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. ჩამოთვლილი კანონდარღვევების გამო, განკარგულება საგულდაგულოდ იმალებოდა (ის არც ოფიციალურად გამოქვეყნებულა და არც სასამართლოზე წარუდგენიათ მხარეებს). სასამართლოზე მისი გამოქვეყნებით, ნიკოლოზ ჭახნაკია შეეცადა აერიდებინა პირადი პასუხისმგებლობა კანონის დარღვევით გაცემული დასკვნის გაცემის გამო.

## **2.2.6 მიმართვა პროკურატურას**

ვინაიდან დარიალის ჰესის საქმეში გამოიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებიც, 2012 წლის ნოემბერში (და შემდგომ დეკემბერში - დამატებითი გარემოებებით), მწვანე ალტერნატივამ მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილს. ორგანიზაციამ მოითხოვა, რომ პროკურატურას შეესწავლა დარიალის ჰესის მშენებლობის პროექტთან დაკავშირებული კანონდარღვევები. პროკურატურაში განცხადების წარდგენას მოჰყვა მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლის ხანგრძლივი დაკითხვა და ამ დრომდე, სამწუხაროდ, სხვა არაფერი.

## 2.3 ხაღორი-2 ჰესის რეკონსტრუქცია-მშენებლობის პროექტი მდინარე ალაზანზე

ხდისწყალზე დაგეგმილი ჰესის პროექტი პირველი არ იყო, როდესაც შპს „ფერისთან“ დაკავშირებული კომპანიები (ან თავად „ფერი“), უხარისხო კვლევების საფუძველზე, მოითხოვდა ნებართვების გაცემას კომპეტენტური ორგანოებისგან. **ხაღორი-2 ჰესის** პროექტი ამის ნათელი მაგალითია.

2009 წლის 29 აპრილს შპს „ფერი“ გარემოს დაცვის სამინისტროში, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად, წარადგინა ხაღორი-2 ჰესის რეკონსტრუქცია-მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გშმ) ანგარიში<sup>76</sup>. პროექტი ითვალისწინებდა ახმეტის რაიონში, პანკისის ხეობაში, მდინარე ალაზანზე არსებული 1.8 მეგავატი სიმძლავრის ჰესის მშენებლობა-რეკონსტრუქციას, რის შედეგად, ჰესის დადგმული სიმძლავრე 5.4 მეგავატამდე გაიზარდებოდა.

გშმ ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი პროექტის სიახლოვეს უკვე ფუნქციონირებდა 24 მეგავატი დადგმული სიმძლავრის სხვა ჰესი - **ხაღორი ჰესი**. შპს „ფერის“ მიერ გარემოს დაცვის სამინისტროში 2009 წელს წარდგენილი სხვა დოკუმენტის თანახმად<sup>77</sup>, 1.8 მეგავატი სიმძლავრის ხაღორი-2 ჰესის დანიშნულება იყო 24-მეგავატიანი ხაღორი ჰესის მშენებლობის მომარაგება ელექტროენერგიით. კომპანიის ინფორმაციით, ხაღორი-2 ჰესმა ფუნქციონირება 2004 წელს შეწყვიტა წყალდიდობის შედეგად სადგურის დაზიანების გამო; მას შემდეგ კომპანია მუშაობდა ჰესის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტზე და ცდილობდა ინვესტიციის მოძიებას.

კომპანიის მიერ სამინისტროში წარდგენილი გშმ ანგარიში იმდენად უხარისხო იყო, რომ 2009 წლის 22 მაისს კომპანიას უარი ეთქვა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემაზე<sup>78</sup>. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად<sup>79</sup>, გშმ ანგარიში არ იყო შედგენილი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ამასთან, ექსპერტთა აზრით, ანგარიში შეიცავდა ბევრ უზუსტობას და შინაარსობრივ, ტექნიკურ და სხვა სახის შეცდომებს. ამდენად, ექსპერტთა კომისიამ ჩათვალა, რომ დაგეგმილ საქმიანობაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის და ნებართვის გაცემა დაუშვებელი იყო.

ლოგიკურად, სამინისტროსგან ნებართვის გაცემაზე უარის მიღების შემდეგ, კომპანიას უნდა ჩაეტარებინა დამატებითი კვლევები, გადაემუშავებინა, დაეხვეწა გშმ ანგარიში და ხელახლა წარედგინა ის ნებართვის მისაღებად, მაგრამ „ფერი“ სხვაგვარად მოიქცა: უარის მიღებიდან დაახლოებით სამ კვირაში (2009 წლის 11 ივნისს) მან განმეორებით მიმართა გარემოს დაცვის სამინისტროს და მოითხოვა პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან გათავისუფლება.

საქმე იმაშია, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს დაგეგმილი პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან გათავისუფლების შესაძლებლობას „თუ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს საქმიანობის დაწყებას და ამის შესახებ გადაწყვეტილების დროულად მიღებას“ („გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონი). კანონი არ განმარტავს, რა იგულისხმება ან რა პირობები უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ დადასტურდეს საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების არსებობა. კანონმდებლობის ეს მნიშვნელოვანი ნაკლოვანება დღემდე არ არის გამოსწორებული, რაც გარემოს დაცვის სამინისტროს და დაინტერესებულ კომპანიებს, როგორცაა მაგალითად, „ფერი“, გვერდი აუარონ კანონმდებლობის მოთხოვნებს და არ ჩაატარონ დაგეგმილი პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასება. სწორედ ეს შესაძლებლობა გამოიყენა კომპანია „ფერმა“ ნებართვის გაცემაზე უარის მიღების შემდეგ.

გარემოს დაცვის სამინისტროში წარდგენილ თავის განცხადებაში და სამოტივაციო წერილში კომპანია „ფერის“ დირექტორი გშმ-დან გათავისუფლების აუცილებლობას ასე ასაბუთებს (იხ. ჩანართი 8):

<sup>76</sup> შპს „ფერის“ დაკვეთით, გშმ კვლევა ჩაატარა და ანგარიში შეადგინა შპს „ეკოლსერვისმა“. უნდა აღინიშნოს, რომ საკონსულტაციო კომპანია „ეკოლსერვისის“ მიერ შედგენილი გშმ ანგარიშები, ზოგადად, გამოირჩევა ძალზე დაბალი ხარისხით.

<sup>77</sup> შპს ფერის დირექტორის, იოსებ მჭელიშვილის 2009 წლის 11 ივნისის #2698 წერილი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილეს გოჩა მამაცაშვილს.

<sup>78</sup> საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 22 მაისის #ი-292 ბრძანება „შპს „ფერი“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ“

<sup>79</sup> საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე #55, 19 მაისი, 2009 წ.



ჩანართი 8. ამონაკრები შპს „ფერის დირექტორის, იოსებ მჭედლიშვილის მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილის, გოჩა მამაცაშვილისათვის წარდგენილი 2009 წლის 11 ივნისის #2698 განცხადებიდან და სამოტივაციო წერილიდან.

„შპს „ფერი“ ახორციელებს სხვადასხვა სახის სამშენებლო სამუშაოებს. მათ შორის დიდი გამოცდილება აქვს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში...“

„...2001 წელს ხადორი ჰესის მშენებლობისთვის შპს „ფერი“- ის მოპოვებული აქვს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვა“, რომელიც მოიცავს აღნიშნული ხადორი 2-ის საამშენებლო ტერიტორიასაც. ზემოაღნიშნულ პროექტზე მუშაობა ინვესტორების მოძიების მიზნით, მიმდინარეობს 2005 წლიდან.

მშენებლობის დაწყების ვადა განსაზღვრულია 15 ივლისი. ვადის გადაწევა გამოიწვევს მთლიანად მშენებლობის დაწყებას მომავალი წლის გაზაფხულისთვის, რაც გამოიწვევს შეთანხმების დარღვევას უცხოელ ინვესტორებთან. შესაბამისად ეჭვქვეშ დადგება პროექტის განხორციელების საკითხი. აღსანიშნავია ისიც რომ 11.02.2009 წ. მიიღო - მხარდასაჭერი წერილი საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროდან და კომპანია Landsvirkjun Power (LVP) ის საპროექტო კვლევითი ანგარიშის შეფასება. აღნიშნულ კომპანიას არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განუხორციელებია მსოფლიო მასშტაბით.“

„ფერის“ განცხადების წარდგენიდან ერთ კვირაში გარემოს დაცვის სამინისტროში შეიკრიბა სპეციალური საბჭო, რომელმაც კვლავ განიხილა „ფერის“ მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია; როგორც 2009 წ. 17 ივნისის საბჭოს სხდომის ოქმიდან ირკვევა, საბჭოს წევრებმა კვლავ წარმოაჩინეს არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დოკუმენტაციაში არასრულფასოვნად იყო განხილული, მაგრამ ამჯერად საბჭომ სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღო - საბჭომ დაადგინა, რომ კომპანია უნდა გათავისუფლდეს გზმ ანგარიშის წარდგენისგან.

საბჭოს გადაწყვეტილებიდან რამოდენიმე დღეში, 2009 წლის 23 ივნისს, მთავრობამ (პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური) გამოსცა განკარგულება #460 „მდ. ალაზანზე ხადორი-2 ჰესის მშენებლობის საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისგან გათავისუფლების შესახებ“. განკარგულება თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს „ფერის“ დირექტორის წერილში მოყვანილ ზემოაღნიშნულ განმარტებებს და ამატებს:

**„საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს, რომ საქმიანობა დაიწყოს დაუყოვნებლივ“.**



ასოციაცია მწვანე ალტერნატივა არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 2000 წელს დაარსდა. მწვანე ალტერნატივას მისიაა საქართველოს გარემოს, ბიოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ეკონომიკურად ხელსაყრელი და გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობის, გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისა და გადანაცვლებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გზით.

ორგანიზაცია მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ენერჯეტიკა - მოპოვებითი მრეწველობა - კლიმატის ცვლილება; ტრანსპორტის სექტორის მდგრადი განვითარება; ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და ხე-ტყის არალეგალური ჭრის აღკვეთა, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა; ნარჩენებისა და წყლის მართვა. ამ თემატური მიმართულებების გარდა, მწვანე ალტერნატივას პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა: გარემოსდაცვითი მმართველობის ხელშეწყობა; ინფორმაციაზე, გადანაცვლებების მიღების პროცესებსა და მართლმსაჯულებაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; გარემოსდაცვითი მართვისა და მდგრადი განვითარების ინსტრუმენტების გაუმჯობესება; ევროპის სამეზობლო პოლიტიკა; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის და საქართველოსთვის განუვლი საერთაშორისო ფინანსური დახმარების მონიტორინგი.

მწვანე ალტერნატივა თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2001 წელს მწვანე ალტერნატივამ, საქართველოს სხვა წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, დააფუძნა საქართველოში სიღარიბის შემცირების სტრატეგიის შემუშავებაზე დამკვირვებელთა ქსელი. 2002 წლიდან მწვანე ალტერნატივა, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, მონიტორინგს უწევს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებას, მის შესაბამისობას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებთან, პროექტის ზეგავლენას ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე. 2005 წლიდან ორგანიზაცია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის კოალიციის წევრია. 2006 წელს მწვანე ალტერნატივამ საფუძველი ჩაუყარა ტყის დამოუკიდებელი მონიტორინგის ქსელს. დაარსების დღიდან ასოციაცია არის „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბანკების საქმიანობაზე დამკვირვებელთა ქსელის“ წევრი; ორგანიზაცია ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს „დედამინის ქვობრების“ საერთაშორისო ფედერაციასთან, „კლიმატის ცვლილების ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქსელთან“, მდგრადი ენერჯეტიკის საერთაშორისო ქსელთან, სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ გარემოსდაცვით, სოციალურ და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციასთან; მწვანე ალტერნატივა 2008 წელს დაარსებული კოალიციის «გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარება საქართველოსთვის» წევრია. 2010 წელს მწვანე ალტერნატივას ინიციატივით დაფუძნდა „საქართველოს მწვანე ქსელი“ - საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ექსპერტების არაფორმალური გაერთიანება, რომელიც მოწოდებულია დაიცვას გარემო, ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას და გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებას საქართველოში.

2004 წელს მწვანე ალტერნატივა დაჯილდოვდა გოლდმანის გარემოსდაცვითი ფონდის პრიზით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტზე მიმართული კამპანიის ფარგლებში გარემოს დაცვის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობისათვის განუვლი წარმატებული საქმიანობისათვის.

## ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, საქართველო  
ფალიაშვილის ქ. 27/29, II სართ.  
ტელეფონი: (995 32) 229 27 73  
ფაქსი: (995 32) 222 38 74  
ელ.ფოსტა: [greenalt@greenalt.org](mailto:greenalt@greenalt.org)  
ვებ-გვერდი: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)